

ქართული


გრამატიკა.

მეთაური სიტყვა.—ეტიშილოვი (მეგრულ-სვანურ ნიმუშებით).—სინტაქსი.—პერიოდი.—ლექსთაწყობა.

ტფილი

ელექტრომბეჭდავი ამბ. „შრომა“, მის. პრ., № 65.

1906



შეთაური სიტყვა.

რომელიმე ენის გრამატიკა არის დალაგებული, სისტემა-ტიური აღწერა მისის კანონებისა.

გრამატიკის დამწერი კანონმდებელი არ არის; კანონები თვით ენაშია; საჭიროა მხოლოდ გრამატიკის შემდგენელმა ეს კანონები უმეტნაკლებოდ გამოარყვიოს, გამოარჩიოს, ჩასწე-როს.

ქართულ ენად ჩვენ მიგვაჩნია ჯამი იმ სიტყვიერ და სა-მეტყველო საუნჯისა, რომელიც, დროთა განმავლობაში, შე-უქმნია და შეუძუშავებია არა ქართლელს ანუ კახელს, არა იმერელს ანუ მცხეს, არა სვანს ანუ მეგრელს, არა აჭარა-კლარ-ჯელს ანუ ჭანს, არამედ მთელს ქართველობას, ქართველთა გუარ-ტოშის.

ჩვენთვის, ვითარცა ქართული გრამატიკის შემდგენელის-თვის, ერთნაირად ძვირფასი იყო და არის როგორც ქართლუ-რი ბრუნვა და უღვლილება, ისეც სენაფრა და მევრული მი-მოხრა, უღვლილება თუ კანკლენობა.

ვინც არ იცის ქართული მის წარსულსა და აწმყოში, არსება, პირობანი და კანონები მისი და მისის კილოკავებისა, მას, კეკიბთ, ესმოდეს შვენიერება იმ დიად მეტყველებისა, რო-მელიც არის საეროვნო, საგვარუომო ენა, გადაშლილი და გადაფურცვნილი მრავალ ტოტებად.

„ქართულ გრამატიკაში“ შევიტანეთ იმდენი და ისეთი მასალა, რომელიც, ვფიქრობთ, ყოველს ქართველს მისცემს შეძლებას, შეისწავლოს თავისი ღვიძლი, სრულიად საჭართვე-

ლოს, ენა და ამასთანავე გაიგოს, თუ რა მჭიდრო ურთიერთობრივი დამოკიდებულება სუფევს ქართულსა, სვანურსა და მეგრულს შორის.

ამ ურთაერთობრივ დამჟიდებულების ცოდნა კი ფრიად საკიროა.

შორი არ არის ის დრო, როდესაც არათუ ვინმე საქართველოს და ქართველების მოძულე, არამედ თვით პროფ. დ. ჩუბინაშვილი ქართველ გვარტომს, ვითომდა მისის ენის მიხედვით, ჰყოფდა ორ ჯგუფად — ქართველებიდ და შეგრებ-ქანებად და მათ შორის არ იხსენიებდა სვანებს.

თვით გამოჩენილი სულხან საბა ორბელიანი მეგრულს აღარებდა ჩხიკვთა და კაჭკაჭთა „ლაპარაკს“, „ჯღურტულს“ და განმარტავდა: „ელურტული—მეგრელთ მრუდი (!) ლაპარაკი, გინა ჩხიკვთა და კაჭკაჭთა ლაპარაკი“.

უველა ამგვარ მსჯელობას აქარწყლებს ჩვენი ქართ. გრამატიკა, ვინაითგან საკუთრივ ქართულსა და მეგრულ-სვანურში ერთს ყალიბზეა ჩამოსხმული ზმნის ულვლილება, კანკლელობისა, ზედშესრულებისა და სხ. კანონები და წესები ერთიდაიგივეა.

კილოკავების უგულებელყოფა, კარჩაკეტილობა მათ შეწავლაში მავნებელია იმ შხრივაც, რომ სწორეთ ამ კილოკავებში, ვით ხელუხლებელს სალაროში, შენახულა მრავალი, ძველისძველადგანვე ქართველებისაგან შეძენილი, სიტყვიერი საუნჯე, რომელიც საჭიროა გამომზევდეს და მიემატოს საერთო ქართულს, გაუერთიანდეს სრულიად საქართველოს სამწერლო-საქროვნო ენას.

კილოკავები და აგრედ-წოდებული „გაქვავებული“ სიტყვები უშრეტი წყარო სამწერლო ენისა. როგორც რომელიმე მდინარე დიდება თავისი ნაკაღულების შემორევნით, ისე ენაც, თავისის წინსვლის დროს, უნდა მრავლად იღებდეს საზღვოს თვისის კილოკავებიდამ; უამისოდ იგი დიდ მანძილს ვერ გაივლის, საფანელი შემოაკლდება, გაღატაკლდება და სწორედ

III

ის დაემართება, რაც ქვიშნარში მიმღინარე ხევს, რომელიც, სათავეებში წყარო-ნაკალულების სიცოტავის გამო, ზღვამდის ველარ უწევს.

კილოკავების შელევა სამწერლო-საეროვნო ენასთან სანუკარია იმ მხრივაც, რომ ამ შელევით აუგილობრივ მკვიდრთ უადვილდებათ შეოვისება განათლებისა, საერთო საეროვნო კულტურისა.

ამ შელევა-გაერთიანებას, სხვათა შორის, ფრიად გააადგილებს სრული ქართული (ქართულ-მეგრულ-სვანური) ლექ-სიკონი, ვრცელი შედარებითი გრამატიკა.

საკუთრივ ჩვენ ქართ. ენას და მის კილოკავების შესწავლას მოვახმარეთ უმეტესი ნაწილი ჩვენის ცხოვრებისა, შევკრიბეთ და შევიმუშავეთ ბლობა გრამატიკული, მორფოლოგიური და ლექსიკური მასალა, და ამ მასალაზე დავათუმნეთ დღევანდელი ჩვენი გამოცემა, რომელშიაც მეგრულ-სვანური-დამ ჯერხნობით შევიტანეთ მცირე ეტიმოლოგიური მასალა, აღვნიშნეთ ზოგიერთი განსხვავებული ხმები, მაგალ., რბილი უ, რომელსაც საკუთარ ნიშნის უქონლობის გამო ვწერთ გადაბრუნებულ უ-თი (ჩ; ჩუდე=ყუდე).

რაღა თქმა უნდა, ვინც ვერ შეიგუებს ჩვენს აზრს შესახებ შედარებითი გრამატიკის შესწავლისა, მას აღვილად შეუძლიან ჩვენი გრამატიკიდამ შეისწავლოს და თავისს მოწაფეთაც შეასწავლოს მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც შეეხება საკუთრივ ქართულს.

დასასრულ, პატივი მაქვს გულითადი მაღლობა ვუძღვნა ივანე ნიგარაძეს, კოდრატი თათარაშვილს, არს. ამბროსის დასხ., რომელთაუანგარო დახმარებით შეძლება მოგვეცა შეგვედგინა ქართულმეგრულ-სვანური ლექსიკონი, ჩაგვეწერა ესა თუ ის ფორმები. ამასთანავე ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს ვთხოვთ იმ საპატიო პირთ და მასწავლებელთ, რომელნიც ცხოვრობენ და მოღვწეობენ სამეგრელოს, სვანეთს, აჭარა-ქანეთს, ფშავ-ხევსუ-რეთს და სხ., დაგვეხმარნენ: ადგილობრივ მეტყველების ნი-

მუშებითა და ფორმებით შეგვივსონ ჩვენი გამოცემა, ჩაუწერავი ჩავი ჩაგვიწერონ, უსწორი გაგვისწორონ და წარმოგვიგზავნონ, რომ ამ შევსებულ-გასწორებულით ვიხელმძღვანელოთ მეორე გამოცემის დროს.

მ. ჭანაშვილი.

ქართული გრამატიკა.

გრამატიკა არის მეტიციერება. რომელიც გვასწავლის სიტყვა-თა წარმოება—ცვლილებას ჭრის მათ შეურთება—შეკავშირებას აზრის გამოსახატავად. იგი იყოფება ორ ნაწილად—ეტიმოლო-გიად და სინტაქსიდ. პირველი გვასწავლის სიტყვათა წარმო-ბასა და ცვლილებას (ეტიმოლოგია—ლექსითურისტება), მეო-რე—სიტყვათ, შეკავშირებასა და განწყობილებას (სინტაქ-სი—ლექსითურისტება).

1

ପ୍ରକାଶନ କମିଟୀ

ଟୁବ୍ସ୍ୟ ପରିବହନ

§ 1. ანბანი. ქართულ ანბანს შეადგენს 38 ასო. ეს ასოებია:

Եղբայրություն	Թէյֆություն	Տառյան Տակալիք
Ասոմთացըլուր	Եղբայրություն	Տառյան Տակալիք
Հ	Յ	Յ
Վ	Ւ	Ւ
Ր	Ռ	Ր
Ջ	Ջ	Ջ
Ց	Ց	Ց
Ւ	Ւ	Ւ
Ց	Ց	Ց

*) ამ ორი სიტუაციის შევერთებით წარმოსალებება ყველა ასოების საზოგადო სახელი ანბანი, მღაპიურად ანაბან (alphabet).

95073 -

201-digrapher-
10000

14

შენია შენგა. ასოები ერთის ძირისაგან არიან წარმომდგარნი. შეადარე:

**ნუკა ყყბ ცუჯგ ზეჩ ტოთ ჰემ ჩენ უთვ ყუჯ
ტისრ ხეს ფფფ ტექ ყყუ ჩერ ძისძ ჩონ ჩეკ ჭეკ ჭეკ**

§ 2. ხმები არის სხვა-და-სხვა ნაირი, სახელდობრ:

a. **ხმოვანი (vocales):** ა, ე, ი, ო, უ, ც.

შენია შენ. ც-ეთი იწერება მხოლოდ სახელი ცრეთი. ძველად იყი ხშირად ეს მაგიერალაც იხმარებოდა: მც=მე, ქრისტი=ქრისტე.

b. **ნახევარხმოვანი (Semivocales):** ა

შენია შენ. ა ისევ იხმარება განაპირა კუთხეებში—სეანეთა, ფშავ-ხევსურეთს, თუშეთს, მთიულეთს, ხევს, საინგილოს და სხ. ამბობენ მამად, დედად, დად, ძმად და არა მამა, დედა, და, ძმა და სხ.

გ. **რთული:** ვ (=ვი), ჭ (=ჭოე), ჰ (=ჰაე).

შენია შენ. ვ იხმარება მხოლოდ ძველს მწიგნობრობაში, ჭ ერთად ერთს სიტყვაში ჰ (=ჰოდ, ჰოი).

დ. **თანხმოვანი (consonantes) არიან:**

a. ბაგეთ მიერნი (labiales) ბ, ვ, მ, ნ, ჸ, ფ

ბ. ენის-მიერი მსტეინავი ს, ზ, ც, ძ, წ

გ. ენის-მიერი შიშინა შ, უ, ჩ, ჯ, ჸ

დ. კბილების-მიერი დ, თ, ტ

ე. ენის-მიერი თანაბარი გ, კ, ქ, ღ, ხ

ვ. ხორხის-მიერი (glotturales) ყ, კ

შენია შენ. კ ისევ იხმარება ქიზიყ-საინგილოს, ფშავ-ხევსურეთ-მთიულეთს, სეანეთს. ამბობენ კარი, კოკობი, კმა, კორცი და არა ხარი, ხოხობი, ხმა, ხორცი და სხ.

§ 3. **სიტყვათა შემოკლება და ხმათ შელევა.** ქართულს უყვარს სიტყვების შემოკლება, ხმების შელევა და ცვლა მაგალითები:

რად არის? = რა არის? რად არა = რადსა (ინგ.) = რას (ფშ.-ხევს.)
 რად გუარად? = რა გვარად = რაგვარ = როგორ = როგო — რავა
 კარგი არის = კარგია = კარგიარს = კადს = კას
 სტუმარი = მეგრ. სუმარი (სუმარი — ვინც სომს = სუამს)
 ეკალი = მეგრ. კალი; სულა = სლვა = სვლა = ვლა = ზეგ. ულა.
 მაღვეს = მაძევს = მაღს = მაც = მაძ
 ფქვილი = ქბილი = მეგრ. ქვირი = სვ. ფექ.
 გუერდს = გუერც = გვერც = გეურც (ინგ.) (ახლოს).
 თუალი = თოლი = თე (სვან).
 მოკუდი = მოკვდი = მოკვი = მოკ (ინგ.)
 გული = მეგრ. გური = სვან. გუ
 მასპინძელი = მაინძელი = მენძელი
 დედაკაცი = დიაკი; დედამთილი = მეგრ. დიანთილი = სვ. დიმ-
 თილ; დედისდა = დეიდა = დედა (სვან. დი = დე = დედა);
 დია-სახლისი = დედა-სახლისი.
 ცოდნა: ვინ იცის? ვინიცობაა, უვიცი; მეროვ = მე რავიცი!

§ 4. სიტყვების დაუთვა მარცვლებად. სიტყვა ერთშან-
 ცვლოვანია, როდესაც მასში ერთი ხმოვანია (ძმა, და, დო,
 გზა, ბუ, ძუ, მზე, კრკო, მთა და სხ.), თრშარცვლოვანია, რო-
 დესაც მასში ორი ხმოვანია (ია, სიო, თავი, ნაზი, ღმერთი).
 სმშარცვლოვანში სამი ხმოვანია (სინაზე, საღმერთო, უფალი),
 თოსმარცვლოვანში ოთხი ხმოვანია (საწერელი, მარიამი, სამარ-
 თალი), ხუთმარცვლოვანში — ხუთი ხმოვანია და სხ. სიტყვა
 იყოფება მხოლოდ მაშინ, თუ მასში ორი ან მეტი ხმოვანია,
 მაგ., ი-ა, სი-ო, თა-ვი, ღმერ-თი, სი-ნა-ზე, სი-ზმა-რი *), სი-კვ-
 ლი-ლი, სა-სწავ-ლე-ბელი, გან-უ-წყვე-ტე-ლი, წი-ნა-სწარ-მე-
 ტყვე-ლი.

§ 5. რთული სიტყვები. სიტყვა რთულია, როდესაც

*) ზმნიდამ ზმან ება: ეზმანა — ესიზმრა.

შესდგება ორის ან მეტის სიტყვისაგან *), მაგ. ორპირი (ორ-პირი), ორქოფი (ორ-ჭოფი), ხელმწიფე (ხელ-მწიფე), ქალწული (ქალ-წული) და სხ. სიტყვების შესაერთებლად განსაკუთრებული კავშირი არ არსებობს; ამ შემთხვევაში პირველს სიტყვას ეკვეცება დაბოლოება, ან-და იგი დაისმის ნათესაობით ბრუნვაში. მაგალ.: კარმიდამო (=კარ-მიდამო), პირწმინდა (პირი + წმინდა), მაღალკეთილშობილება (მაღალი + კეთილი + შობილება), მირონცხებული (მირონი + ცხებული), ვაშკაცი (ვაშა + კაცი), დევგირი (დევი + გმირი). ხელისუფალი, ძმისწული, მიწისმზომელი. შეადარე: კახეთ-კუთეთი, ქართლ-კახეთი, შავ-შეთ-კლარჯეთი, ერან-თურანი. ზოგი სიტყვები უცვლელად ეკავშირებიან ერთმანეთს, მაგალ., სამცხე-სათაბაგო, გურია-სამეგრელო, აჭარა-შავშეთი, ბიძაშვილი, დიდიდედა, მთაწმინდა, და-ძმა.

შენიშვნ. ოთული სიტყვა ხაზით არ იყოფება, თუ შეადგენს ერთს განუყოფელს ცნებას, მაგ., მართლმადიდებელი, მჭევრმეტყველი, ბოროტმოქმედი, დიდიდედა, ქალწული... ხაზით იყოფება სიტყვები: დედ-მამა, და-ძმანი, სახლ-კარი, ქართლ-კახეთი, ამერეთ-იმერეთი და სხ.

§ 6. დასაკვეთი (ხმის ამაღლება). ორმარცვლოვანსა და საშმარცვლოვან სიტყვაში დასაკვეთი დაერთვის პირველს ხმოვანს თავიდებან (ვარდი, მუხა, მხეცი, მოხუცი, მიმინა, ბალახი), თოხ და მრავალ მარცვლოვან სიტყვებში—მესამე ხმოვანს ბოლოდებან (სამართალი, სახარება, აღმატებული). თუმცა საზოგადო კანონი ესრეთია, მაგრამ დასაკვეთის თანაბრობა უფრო ეპრიანება ქართულს ენას.

*) ძველი ქართული ხშირად მთელს წინადადებასაც ერთ ციტყვად გამოსთქვაშს, მაგ., მოხულ-ირავიდა—ხოლო მოვიდა-რა, წართუშირულ-გართ—თუ წარწირული ვართ.

თავი მეორე.

§ 7. მეტყველების ნაწილები. მეტყველების ნაწილი ცხრაა, სახელდობრ:

- ა. სახელი არსებითი (nomen substantivum)
- ბ. სახელი ზედშესრული (nomen adjективum)
- გ. სახელი რიცხვითი (nomen numerale)
- დ. ნაცვალსახელი (pronomen)
- ე. ზმია (verbum)
- ვ. ზმისზედა (adverbium)
- ზ. თანდებული (praepositio და postpositio)
- თ. კავშირი (conjunction)
- თ. შორისდებული (interjectio)

სახელი არსებითი.

§ 8. არსება, საგანი. ხილული და უხილავი, სულიერი და უსულო, პირმეტყველი და პირუტყვი, ხელით შესახები და განყენებითი (გონებით წარმოსადგენი) — ყველა ეს არის არსება, რადგან არსებობს, საგანი, რადგან შეიძლება შევიგნოთ, შევითვისოთ, შევისწავლოთ.

სულიერი ორგვარია: გონიერი და უგუნური. გონიერებად ითვლებიან მხოლოდ ღმერთი, ანგელოზი, კაცი და ეშმაკი (ალი, ქინკა, დევი, მაჯლაჯუნა და მათთანა საზღაპრო არსებანი), უგუნურებად — დანარჩენი სულიერები: პირუტყვი, ფრინველნი, მწერნი, თევზნი და სხ.

სულიერი — გონიერი გამოიცნობის კითხვით ვინ? ხოლო სულიერი — უგუნური და დანარჩენი ყოველი საგანი — კითხვით რა?

ვინ? — ღმერთი, კაცი, ანგელოზი, ეშმაკი. რა? — ცხენი, დათვი, ქვა, ხე, ფუტკარი, მიწა, მზე, მთვარე.

ვისი? — ღვთის, კაცის, ანგელოზის, ეშმაკის. რის? ცხენის, დათვის და სხ.

გრძელი	სიგრძე	გზა	საგზალი
ბრალეული	სი-ბრალეული	კვლა	საკლავი
ყვარება	სი-ყვარეული		საყვარელი
ნანგა	სი-ნანული		სანანო
ტყობა	სი-ტყვა	თანდება	სათანადო

შეადარე:

სი-ცხე	მეგრ. სი-ნცხა		
სი-ძე	სი-ნჯა	სვან. ჩი-უე	
სი-ზმარი	სიზმარი	ისნავ	
სი-თბო	სი-ტიბა	ნა-ტბილი (ნა-თბი)	
სი-თხე	სი-თხითხა	ნა-დთხელი	
სი-კეთე	სი-კეთე	სი-კეთ	
სვან. ლი-სბართლე	(სი-მართლე)=სამართლობა		
ლი-ღრაჯე	(სი-ღარაჯე)=ღარაჯობა		
ლი-ფრთხილე	(სიფრთხილე)=ფრთხილობა		
ლი-მბვე		=მმობა	
ლი-რღვე		=რღვევა	
ლი-თი		=თიბა	
ლი-სმინე		=სმენა	
ლი-ლი		=ლება	
ლი-ღი		=ღება	
ლი-ნგზავრე		=ნგზავრობა	
ლი-ღროვი		=მოღორება.	

ოსანი: მანდილი—მანდილოსანი, ქუდი—ქუდოსანი, ფეხი—ფეხოსანი, ხმა—ხმოსანი, ფრთა—ფრთოსანი, ვეფხის-ტყავი—ვეფხისტყაოსანი, ცხენი—ცხენოსანი, ხელი—ხელოსანი.

მე აღნიშნავს ხელობას ანუ მოხელეობას, რიგს და სხ. შეადარე: მენავე (მეგრ. მენიშოლე), მევენახე (მეგრ. მებინეხე), მეწყლე (მეგრ. მეწყარე, სვ. მე-ლუი), მექვევრე (სვან.

მდ-კეც). მეორე, მესამე; მეთაური, მეძებარი; მეზობელი (ეზო—
მეზობელი)

ობა აღნიშნავს ა) ერთიანობას, მთლიანობას: ქართვე-
ლობა, სომხობა, თათრობა, ახალთაობა, ნათესაობა, ქრისტია-
ნობა, თევზეულობა, მცენარეულობა, გლეხობა, ბ) თვისებას,
ვითარებას: გმირობა, ხუმრობა, ტარიელობა, ჭირიანობა, შენ-
ჩემობა, პირველობა, არარაობა, ჩვენიანობა.

ანი აღნიშნავს ვისიანობა—რისიანობას: ადამი—ადამია-
ნი, რუსუდანი—„რუსუდანიანი“, არჩილი — „არჩილიანი“,
ქრისტე—ქრისტიანი (ქრისტეანი), ძალი—ძალიანი, იოანე—
იოანესი—იოანესიანი, ვაჩაძე—ვაჩაძიანი.

ეთი გვიჩვენებს ადგილსამყოფელოს: იმერი—იმერეთი,
ამერი—ამერეთი, მესხი—მესხეთი, კოლხი—კოლხეთი, აფხაზი
—აფხაზეთი, სვანი—სვანეთი, ჯავახი—ჯავახეთი, კახი—კახე-
თი, ჭანი—ჭანეთი, რუსი—რუსეთი, სომეხი—სომხეთი, სპარსი
—სპარსეთი, ტბა—ტბეთი; ანუ: სა-ქართველო, სა-მეგრელო,
სა-ფრანგეთი, სა-ბერძნეთი, სა-სომხეთო.

ნა—ევი, ნა—: ნაჭარმაგევი, ნაჭალაქევი, ნატულბაქევი,
ნავენახევი, ნანაღირევი, ნახნავი, ნაწნავი *).

თვანი: მაყვლოვანი, მუხროვანი, ვარღოვანი.

არი:	ფიჭვი—ფიჭვნი—ფიჭვნარი,	ბაღნი—ბაღნ- რი
მუხა—	მუხანი—მუხნ-არი	ნაძენი—ნაძენ-არი
თხილი—	თხილნი — თხილნ-არი	ბუჩქნი — ბუჩქნ-არი
ქვიშა-.	ქვიშანი—ქვიშნ-არი	შამბნი — შამბნ-არი
ძეგვი—	ძეგვნი—ძეგვნ-არი	
ხილი—	ხილნი—ხილნ-არი.	

ა:	კინკულაობა — კინკულაობან-ი — კინკულაობან-ა
ბუქნაობა —	ბუქნაობან-ი — ბუქნაობან-ა
თვალხუჭიაობა —	თვალხუჭიაობან-ი — თვალხუჭიაობანა
ჭინჭყლაობა —	ჭინჭყლაობან-ი — ჭინჭყლაობან-ა.

*.) ვი გვხდება ზმნებშიაც: ვწერევი, ვჭამევი, ვიყავი, მწერავი, მხა-
ტავი, ნახატავი.

არსებითი სახელი არის:

საკუთარი (ქუთაისი, ტფილისი, ფოთი, ნათელა, თინა-
თინ, თამარი, ნინო),

საზოგადო (სოფელი, ქალაქი, დაბა, ხე, ცხენი, ქვეყა-
ნა, ქარი, თოვლი, წვიმა, ვარსსვლავი),

კრებითი (ლაშქარი, დასი, გუნდი, ფარა, კოლტი, ჯა-
რი, ერი, ჯოგი),

კნინობითი, რომელიც არის:

სააღლერსო: დათიყო, შვილიკო, ჭიქიყო, გვრიტუნია,
ჩიტუნია, ოგონა, ძამია, დაია, მამი, დედი, მამილო, დედი-
ლო, სოსიკო, ვანო, ია, ილო.

დასამცირო: პეტრიკელა, პეტრიკა, დათიყა, დათიყელა,
დათეია, ივანიკა, სახლუკა, ჩაფუკა, ბერიკა, ბეროია, პეტუა,
ვარდუა, კაცუნა, დათუნა, თაგუნა, წრუწუნა, ქალაჩუნა, კუ-
კუნა, ცხენუკა და სხ. დასამციროა აგრეთვე სიტყვები: გიგო-
ია—მიგოია, ივანია—მივანია, გიოია—მიოია, კაცმაცი, კიტრ-
მიტრი, ქალაქ-მალაქი, ჩიტ-მიტი, ბეროია—მეროია, პურ-მუ-
რი, წყალ-მალი.

შენიშვნა. ამნაირ სიტყვებს განუსაზღვრელი მნიშვნე-
ლობაც აქვთ. ქლიავ-მლიავი, ე. ი. მარტო ქლიავი თუ სხვა
ხილიც. „გიგოია-მიგოიას მე ყურს არ ვუგდებ“, ე. ი. გიგოს
თუ მისთანა კაცებს.

§ 9. ქართული ენა სქესს (ცელია) გაარჩევს ბუნებრივად
და არა გრამატიკულად, და ამისთვის ხმარობს სიტყვებს: а) მა-
მა, დედა, კაცი, ქალი—გასარჩევად ადამიანთა სქესისა, б) მა-
მალი, დედალი—გასარჩევად ფრინველთა, მწერთა და წყრილ
პირუტყვის სქესისა, გ) ხრი, ფური—გასარჩევად სხვილ საქონ-
ლის სქესისა, დ) ულავი, ჭავი—ერთჩლიქოვანთა სქესისა, ე) ხვა-
დი, ძე—გასარჩევად მხეცთა და ძალთა სქესისა. მაგ. а) მამაკაცი
—დედაკაცი, მამამძუძე—დედამძუძე, ვაჟიშვილი—ქალიშვი-
ლი; б) მამალი—დედალი, მამალი იხვი, მამალი ბატი, მა-
მა(ლი) ფუტკარი, დედა(ლი) იხვი, დედა(ლი) ფუტკარი; გ)

ხარ-ისები, ხარკამეჩი, ფური, ფურკამეჩი, ფურირქმი; დ) ჭავი
ცხენი, ჭავი ვირი, ულაყი ცხენი, ულაყი ვირი; ე) ხვადი მგე-
ლი, ძუ მგელი და სხ.

შენი შვენა I. ქიზიყ-საინგილოში შესაბმელს საქონელსაც
ულაყს ეძახიან.

შენი შვენა 2. სქესის გამოსაცნობად ყველაზე ^წშირად იხ-
მარება სიტყვები დედალი; მამალი, ხვადი, ძუ. დედა-კატა,
დედა-ლორი და სხ. ხშირად თვით სახელი გვაუწყებს ამა თუ
იმ სქესობას, მაგ. დეკეული (=დიაკეული= დედაკეული), მო-
ზვერი, აზავერი, მამლაყინწა, ყვინჩილა.

არსებით სახელთა შედგენილობა და წარმოება.

§ 10. სახელი არსებითი არის ჰარჯელსახე, მაგალ. მზე,
რძე, ხე, ქვა, მიწა, წვიმა, და წარმტკებული, მაგ. მშვენიერება
(მშვენიერი), საუბარი (უბნობა), სიმარჯვე (მარჯვე, მარდი),
სიმრუდე (მრუდი), ზარბაცობა (ზარმაცი), ღასაბამი (ბმა),
უკეთილშობილესობა (კეთილშობილი—უკეთილშობილესი—
უკეთილშობილესობა) და სხ.

§ 11. არსებითი სახელი წარმოსდგება

ა) ზმნისაგან; მაგ., ბმა—ღაბმა—დასაბამი; ცნობა —გა-
მოცანა, კლომა—სიკვდილი, დენა—მდინარე, რბენა—სარ-
ბიელი, მარულა *).

ბ) ზედშესრულისაგან, მაგ., მშვენიერი—სიმშვენიერე,
მდიდარი—სიმდიდრე, ღიღი—სიღიღე, მართალი—სამართა-
ლი, სასამართლო, უდიდებულესობა—უდიდებულესი—დი-
დებული, მდიდარი—ღიღ(ი)არი

გ) რიცხვით სახელისაგან, მაგ. ერთი—ერთეული, ერ-
თეულობა, სამი—სამება, ათი—ათეული, ბევრი—სიბევრე,
მრავალი — სიმრავლე.

*) მეგრ. რუ—ა—რბენა; მა-რულა ჰო-რბენა.

ღ) ნაცვალსახელისაგან, მაგ., ჩვენ—ჩვენთაგანი, ჩვენიანობა, მისი—მისიანი—მისიანობა.

ე) თანდებულისაგან, მაგ., ქვეშ—ქვეშთი, ზე—ზენა, ზენარი, ზედრეთი

ვ) მიმღეობისაგან:

აწმყო დროისა: მწერალი, მხატვარი

ნამყო „ ნაყოფი, ნაფოტი, ნაკერი, ნაფუქვენი, ნახეწი, ხნული, წერილი

მყობაღ „ სამართალი, სამოსელი, სამხატვრო, მოსავალი
სამარადისო „ ჭამალი, მოცელი.

§ 12. უმთამრესი საჯაროებო ნიშნებია:

სა, რომელიც გვიჩვენებს ადგილსამყოფელს, რაიმდანიშნულებას, სამარადისო მოქმედებას; მას უდრის მეგრ. სა, თ, სვან. ლა, ლე, სა. შეადარე:

საძოვარი!	მეგრ.	ო-დიარე	სვ.	ლა-ბლახ
საბალახე		ო-სიმინდე		ლა-სმინდ
სა-სიმინდე		სა-ბურთალო		ლა-ბირთ
სა-ბურთალო		სა-დგომი		სა-დგვებ
სა-დგომი		სა-ხელმწიფო		სა-კელმწიფ
სა-ხომი (საზომელი)		სა-ზემი (ო-ზემალი)	ლა-ზმა	
სა-თავე		ო-ლუდე		ლა-ბმა(დასაბამი)
სა-თითო		სა-თითო		სა-თით
სა-მარე*) (საფლავი)	სა-მარე (ო-რომე)	სა-ფლავ		
შენიშვნა. სეანურში ლა-ბამ=სა-ბამი (რაც ანუ ვინ-კუნდა დაიბას), ლე-ბემ=სა-ბამი=საბელი. შეადარე სოფლების სახელები:				

*) სამარე წარმოსდგება ზმნისამ მ ა რ ვ ა (მალვა) — შენახვა, ფარვა. ამისავან წარმოებული სიტყვებია: ა მ ა რ — ს ა მ ა რ (იყო პერანგის-ამარ, ლეთის-ამარ. საყდარი იყო ლედლის ამარ, სამარ (კახ. გეოგრაფია); მარხვა-მარვა, მარანი, მალვა, სამაროვანი, სამალავა.

სვან. გამოთქმით

ლე-ეერსამე	(ზუგდ. მაზ.)=საგერსამიო
ლე-გოგიე	(სენაკ. მაზ.)=საგოგიო
ლე-დგებიე	(ზუგდ. მაზ.)=სადგებუაძეო
ლე-სიჩინე	(ზუგდ. მაზ.)=სა-სიჩინაო
ლე-ხაინდრავო	(სენაკ. მაზ.)=სახაინდრაო
ლე-ხიდრის-თავი	(ლეჩხ. მაზ) =სა-ხიდრის-თავო
ლე-წურწუმე	(ზუგდ. მაზ.)=საწურწუმე.

ლა და ლე ქართულშიაც შეინიშნება, მაგალ., ლახატი (სოფ. თიანეთის მაზრაში)=სახატო, ლა-ნჩხუტი (სოფ. ოზურგ. მაზ.)=სა-ნჩხუტი ზმნილამ ჩხუტვა—თლა, გამწვეტინება, ლა-წულაანთყარი (სოფ. ღუშ. მაზ.)=საწულაანთყარი, ლა-მბალო (სოფ. სიღ. მაზ.)=სა-მბლო, ლა-გამი (=სა-გამი სა-დგამი, პირში ამოსადები), ლა-წანი (წნა, გაწნა), ლე-კვერთხი=საკვერთხი, ლე-ნკოფა=სა-ნკოფა.

ხშირად სვანურ დუ-ს მნიშვნელობით ქართულში იხმარება ნაწილაკი სა-სი. მაგალ., სა-ხნავი (რაც უნდა მოიხნას), სახნი-სი (იარალი), სადგისი, სამზადისი, საკვესი, გასაძლისი, სარ-წყვნისი (თებერვალი), საწალისი, მარადისი, შესატყვისი.

სა-თს მნიშვნელობით იხმარება სი: შინდი—შინდისი (სოფ.), თბილი — თბილისი, ცხენი — საცხენისი, მანგალი *)—მანგლი-სი, ქუთაი—ქუთაისი **)—ქუთათისი.

სი განსაკუთრებით აწარმოებს მიმღებას, ზმნას და სხ., სა უმთავრესად—სახელასებითებს. შეადარე:

ზედშეს. სახ. არს.

თეთრი	სითეთრე	კაცი	საკაცე
ცვითელი	სიცვითლე	ღორი	სა-ღორე
ვრცელი	სივრცე	ქათამი	სა-ქათმე

*) ნამგალი მეგრ. მანგა.

**) მნიშვნელობა: საშინდო-შინდისი, საცხენო-საცხენისი, სამანგლო-მანგლისი

ა აღნიშნავს მსგავსებას: პერანგი—პერანგა (მთა), უნა-გირი—უნაგირა (მთა), კედელი—კედელა (მთა), ყვირილი—ყვირილა (მდინ.), ჩხერიმელა (მდინ.), წყალ-წითელა (მდინ.), ტ(ა)ბა-ხმელი—ტაბახმელა (სოფელი), ტეხვა—ტეხური ტე-ხურა (მდინ.), სირი-აქლემი—სირაქლემა (ფრინ.), ძირი-მწა-რე—ძირმწარა, ნაცარი-ტუტი—ნაცარტუტა, მცონარე—მცონარა, მამალი—მამალა, კუკუნი—კუკუნა, წრუწუნი—წრუწუნა, ყბა-ყური—ყბაყურა.

ული, ელი გვიჩვენებს სადაურობას: გურია—გურული, გორელი, იმერელი (იმერი), ამერელი (ამერი), კახელი (კახი), ჭანელი (ჭანი), კლარჯელი (კლარჯი), ჯავახელი (ჯავახი), ქართლელი.

ადგილსამყოფელო ეპისკოპოსებისა: სამთავნელი, მროველი (რუისის ეპისკ.), ურბნელი, მაწყვერელი (აწყურის ეპ.), კუმურდოველი, ნინოწმინდელი, რუსთველი (რუისთავ-მარტუმოფ. ეპ.), ჭერმელი, ბოდბელი, ალავერდელი, გიშელი, მანგლელი, წილკნელი, ბოლნელი (ბოლნისის ეპ.), ნიქოზელი, გენათელი, ქუთათელი, ქუმნდიდელი, ცაიშელი, მოქველი, ცხუმელი, დრანდელი, შემოქმედელი, ტბევარი (ტბელი), იშნელი, ბანელი, ხახულარი, ოლთისარი, ანელი, კარელი, ვალაშკერტელი, ნიკორწმინდელი, წურწყაბელი და სხ.

ხი: ფარა—ფარეხი, ღვინო—ვენახი, ტაო—ტაოხი (ქვეყანა), ჯავა-ჯავახი, გამჭრია—გამჭრიახი, გორა—გორახი, მუხა—მუხა-ხი (სოფელია), მამრი—მამრე-ხი (სოფ.).

ცი: მამა—მამაცი, დია—დიაცი, ზარება—ზარმაცი, ბარბაცი.

თევზთა სადაურობის მაჩვენებელი სახელები: **ხრამული** (მდინ. ხრამის თევზი), **გელაქნური** (გელაქუნის ტბის თევზი), **ორაგული** (არაგვის თევზი), **ფიჩული** (ფიჩის გოდრებით დაჭერილი).

გი (==ხი): მსუნაგი (მეგრ. შურხე), ამხანაგი (სვან. აფხენეგ), ნიადაგი, ხვადაგი (ხვასტაგი), მარაგი, ციაგი, ნასტაგი.

შენიშვნა. გი ზმნიდამ გიება—არსებობა, ყოფნა; ვგიებ—ვარ, ვიმუოფები, მარადის ვსუფევ. შეადარე:

სუნი=მეგრ. შური, მიმღ. მსუნ(ავ)ი, სახელარს. **შსუნაგი=მეგრ.** შურ-ხე. ნიადაგი = მარად-მგიები. ციაგი=ცე-ცხლი (=ცია) მგიები (ცია-გი=ცია-ლი=ცია-არი). იხ. ქვე-მოთ ვარ, არი). მარა-გი=ლრუბელი მგიები (სვან. მარე—ლრუბელი). ამხანა-გი=ვინც ჰგია ამხანა, ამ ხანს *) (დრო ე-ბით).

(6)ჯი=(6)დი, რი, შეადარე:

(ქართ.)	(მეგრ.)	(სვან.)
ხარი	ხოჯი	კან
ნაპირი (ნაპირელი)	ნაპიჯი	პილ
ლორი	ლეჯი **)	
წვერი	წვანჯი	
ცხვირი	ჩხვინდი	
მძინარე==	ლურენჯი==	
(მრულელი)	(ორენჯი)	
ხიდი	ხინჯი	
ძირკვი (ინგ. ძირქ)	ჯინჯი	
ტრედი	ტორონჯი	
ძვალი	ძვალი	ჯიჯვ
ქართულში: ლოინჯი, ხინჯი, მახინჯი, გონჯი, უნჯი, მუნჯი (მე-უენო; ენა=მეგრ. ნინა=სვ. ნინ).		
მ: მლიდარი	მეგრ.	დიდარ
მდადე	დადე	დადუ
მკვახე (ინგ. კოხედ)	კუხი	კუხი

*) ამხანავს თათრულად ჰქვიან გზადგამყოლი (იოლდაშ), რუსულ-ტოვარიშე—საქონლის თანამოზიარე, ბერძნ. ჭამა სმის მოზიარე, მხედარ. მოძღვრობის მოზიარე, ელჩობის მოზიარე და სხ.

**) =ლოჯი, რადან ღორს ჰქვიან აგრეთვე ეშვი (=ეშვა), კბილა, ღოჯი (=ღოჯიანი).

მძოვრი	ძორი	ძვერ
(მ)ტრედი,	ტორონჯი	
(მ)სხალი	სხული	იცხ
მტილი	ო-რტვინი*)	ლა-რტამ

სახელარსებითის კანკლედობა (ბრუნვა).

§ 13 კანკლედობად ანუ ბრუნვად იწოდება სახელარსებითის ცვლილება რიცხვებსა და ბრუნვებში.

ა) რიცხვი ორია: **მხოლოდითი** (numerus singularis) და **მრავლობითი** (n. pluralis). მაგალითები: მოწაფე სწავლობს, მოწაფენი სწავლობენ.

ბ) ყოველს რიცხვში შვიდი ბრუნვაა (casus), სახელდობრ:

1. **სახელობითი** (c. nominativus) კითხვაზე ვინ? რა? მაგალითები: კაცი (ვინ?) მოდის. ვარდი (რა?) ყვავის.

2. **სახელობითი მეორე** (ნაცვალსახელით მან) კითხვაზე ვინ? რამ? მაგალითები: დასწერა კაცმან (ვინ?). გაგვახარა ვარდმან (რამ?).

3. **ნათესაობითი** (c. genitius) კითხვაზე ვის(ი)? რის(ი)? მაგალითები: კაცის შვილი; ვარდის სუნი.

4. **მიცემითი** (c. dativus) კითხვაზე ვის(ა)? რას(ა)? მაგალითები: მივეცი კაცს; ვახარებ ხეს.

5. **შემოქმედებითი** (c. ablativus) კითხვაზე რით? ვისით? მაგალითები: ცულით მოვჭერით; შვილით გავიხარეთ. ცხენით მოვიდნენ

6. **ზმნისზედათი** (c. adverbiale) კითხვაზე რად? მა-

*) ო-რტვინი=სა-რტვინო—ფესვიდამ (ზ)რდა—მეგრ. რდილი (ზრდილი), ნა-რდი (ზა-ზარდი), ო-რდალი=ო რდუალი (სა-ზრდელი), მორდილი (მოზრდილი), მო-რდუ (მოზარდი). გამდელი (გამდელი, გამზრდელი), გადა. იმავე ფესვის სიტყვები: სენ. დარ (პური), მეგრ. დიარუა (ძოვა), ო-დიარ-ე (საძოვარი), მდელო, ტევრი, რტო, სვ. დაილ (ყვავილი), ინგ. დილიგი (საბოსტნეულო ადგილი ბოსტნეულითურთ).

გალითები: ღვინო იქტა წყლად. მასწავლებელი გახდა მწერლად.

7. წოდებითი (c. vocativus). მაგალითები: კაცო, ლმერთო, შვილო.

უ ე ნ ი შ ნ ე ა 1. ი, ე, ო, უ-ზე დასრულებულ სიტყვებს წოდებითი ბრუნვის დაბოლოებად აქვთ ო, ვ, და ანუ არც ერთი გათვანი.

მაგალ. დედაო—დედავ—დედა! აქ მობრძანდი.

ჰეტრეო—ჰეტრევ—ჰეტრე! კარგა ისწავლე.

ყრუო—ყრუვ—ყრუ, არ გესმის?

სოკოო—სოკოვ—სოკო, მალე ამოდი!

უ ე ნ ი შ ნ ე ა 2. მეგრულსა და სვანურში წოდებით ბრუნვად იხმარება სახელობითი 1-ლი.

ყ 14. ქართულს ენას აქვს ერთი კანკლედობა (declinatio). ბრუნვების დაბოლოებანია:

ბრუნლობითი:

შრავლობითი:

სახელობითი 1 (ყველა ხმოვანი)

ები, ნი, თა

” 2 მან (მ,მა)

ებმან, თა

ნათესაობითი ის, ისა, ს, სი

ების, ებისა, თა

მიცემითი სა, ს

ებს (ა)

შემოქმედებითი ით(ა), თ(ი)

ებით (ი)

ზმისზედათი ად, დ, ათ (ა), დ (ი)

ებად; ებათ

წოდებითი თ, ვ

ებო, ნო, თანო

უ ე ნ ი შ ნ ე ა 1. ი-თი დაბოლოებული სიტყვები ამ ი-ს ჰეტრენ სახელობით მეორესა, მიცემითსა, ზმისზედითსა და წოდებითს ბრუნვებში (კაც-ი: კაც-მან, კაც-სა, კაც-ად, კაც-ო); სიტყვების დაბოლოებას შორდებიან აგრეთვე ა და ე ნათესაობითსა და შემოქმედებითს ბრუნვებში, მაგალ: მამის შვილი, მამით, მახით (ამბობენ აგრეთვე მამას შვილი, მამათი, მახეთი).

§ 15. სახელარსებითთა ბრუნვის ნიმუში.

მხოლოდითი რიცხვი.

ს.1 და	ხე	სოკო	ვირი
ს.2 და-მ (ან)	ხე-მ(ან)	სოკო-მ(ან)	ვირ-მა'ნ)
ნ. დ-ის (ა)	ხ-ის(ა)	სოკო-ის,-სი	ვირ-ის(ა)
გ. და-ს (ა)	ხე-ს(ა)	სოკო-ს(ა)	ვირ-ს(ა)
შ. დ-ით (ა)	ხ-ით(ა)	სოკო-ით,-თი	ვირ-ით(ა)
ზმ. და-დ(ა)	ხე-დ(ა)	სოკო-დ(ა)	ვირ-ად
წ. და-ო	ხე-ო	სოკო-ო	ვირ-ო

მრავლობითი რიცხვი.


ს.1 დ-ები, და-ნი,	და-თა	ხე-ებ-ი ხენი	ხე-თა
ს.2 დ-ებ-მა	და-თა	ხე-ებ-მა(ნ)	ხე-თა
ნ. დ-ებ-ის(ა)	და-თა	ხე-ებ-ის(ა)	ხე-თა
გ. დ-ებ-ს(ა)	და-თა	ხე-ებ-ს(ა)	ხე-თა
) შ. დ-ებ-ით	და-თა მიერ ხე-ებ-ით(ა)		ხე-თა-მიერ
ზმ. დ-ებ-ად		ხე-ებ-ად	
წ. დ-ებ-ო	და-ნო	ხე-ებ-ო	ხე-ნო

შენიშვნა ა. სახელობითი მეორე (იგივე მოთხრობითი) უმეტესად იხმარება მაშინ, როდესაც შესმენილი გვიჩვენებს ნამყო სრულ დროს: მამამ სწერა, მამამ დასწერა.—მოწაფებ გაკვეთილი იცის (აწმუნ დრო).

შენიშვნა ბ. სახელობითი მეორება მან იკვეცება მ-დ იმ სიტყვებში, რომლების დაბოლოება არის ა, ე, ო, უ, ხოლო ი-თი დასრულებულ სიტყვებში მან შე-იკვეცება მხოლოდ მა-დ, როგორც დანაშთენ ხმოვანებზე და-სრულებული სიტყვებიც. მაგალ:

სახელობითი 1.

მამ-ა	მამ-ე	ლოქო	დრკუ	ცხენ-ი
		სახელობითი 2.		
მამა-მ(ა)	მამე-მ(ა)	ლოქო-მ(ა)	დრკუ-მ(ა)	ცხენ-მა



ფშავ-ხევსურეთში, ხშირად, ი-ზე დასრულებულ სიტყვებშიაც ი გამოვარდება ხოლმე და სახელობით მეორის დაბოლოებაც მ-დ იკვეცება; ამბობენ: ცხენ-მ, კაც-მ, ღმერთ-მ.

შენიშვნა. გ. ქართულ ენას უყავრს მრავლობით რიცხვ-ში უფრო მეტ სიმრავლის ანუ სიღიღის საჩვენებლად გაიმეოროს დაბოლოებანი თა, ები, ნი. მაგალ., ამბობენ: დანები, ძმანები, კარებები, დებთა და სხ. (დანები=დანი + დები; კარებები = კარები + კარები; დებთა = დები + დათა). ამას უდრის მეგრული ქუალეფი (ქუანები), ჯიმალეფი (ძმანები), დალეფი — დები.

მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელი ნი ფშავ-ხევსურეთში ხშირად იღებს ფორმას ან, ანი: კარ-ნი=კარ-ანი, ქალნი=ქალ-ანი. ეს ან, ნ მრავლობითსავე რიცხვს უჩვენებს ზმნებში (არი-ან, არ-ნ, ჭრი-ან, ყრი-ან, სხედ-ან, მიწერ-ნი-ა, მიხარ-ნი-ა, ვწერ-ენ, სკამ-ენ, თქო-ნ, იხარო-ნ, წერო-ნ; მასვე ნაცვალსახელებში უდრის ები (=ფი), (ი)ნი, ენი და ლ, არ*) (სუანურში). მაგალითები:

მეგრ.

სვან.

ის(ა)	ეს(ა)	რნა	თინა	თენა	ალი(ა)
იგი	ეგ(ა)				აჯა

ის-ინი ეს-ენი ინ-ეფი თინ-ეფი თენ-ეფი აჯ-ი-არ ალ-ი-არ (ინგ.) ის-ენ ეს-ენ

იგი-ნი ეგე-ნი

ესვე დაბოლოებანი ბრუნვებში:

მეგრ.

სეან.

ცხენ-ნი=ცხენ-ებ-ი	ცხენ-ეფ-ი	ჩაუ-არ
ცხენ-ებ-ის	ცხენ-ეფ-იშ	ჩაუ-რ-ეშ
ცხენ-ებ-ს	ცხენ-ეფ-ს	ჩაუ-არ-ს
ცხენ-ებ-ით	ცხენ-ეფ-ით	ჩაუ-არ-შრ
ცხენ-ებ-ად	ცხენ-ეფ-ო	ჩაუ-არ-დ

*) ნ ლ—რ—ს: ნიტრა—ლიტრა—სვან. ლათრა; ლბილი=რბილი; რძე—სძე—სვან. ლჯე; რძალი—სძალი

ცხენ-ებ-ის-ად ცხენ-ებ-ის-და ცხენ-ებ-ის-თვის	ცხენ-ეფ-იშ-ოთ	ჩაუ-რ-ეშ-დ ჩაუ-არ-თე
	მუმა-ლ	მუ-ლ
	მუმა-ლ-ეფ ი	მუ-ლ-არ *)

მამა-ნ-ებ-ი	მუმა-ლ-ეფ-იშ	მუ-ლ-რ-ეშ
მამა-ნ-ებ-ის	მუმა-ლ-ეფ ს	მუ-ლ-არ-ს
მამა-ნ-ებ-ით	მუმა-ლ-ეფ-ით	მუ-ლ-არ-შუ
მამა-ნ-ებ-ად	მუმა-ლ-ეფ-ო(თ)	მუ-ლ-არ-დ

თანდებულიანი ბრუნვები.

§ 16. თანდებულებს ბრუნვები მოისმენ ბოლოში და ხან-დახან თავშიაც. ბრუნვების თანდებულები არიან ზმნისზედები, ზედშესრულები და საკუთრივ თანდებულები. ასრეთი ბრუნ-ვებია: ა) სახელობია 1. ზმნისზედა ვით (=ვითარცა): ოუ სი-ტყვა დაბოლოებულია ი-ზე, ვით მოესმის ხან სახელობით ბრუნ-ვას და ხან მიცემითს. მაგალ., მიყვარ, შვილივით, ღმერთი-ვით, კაცივით, პატივსესცემ შვილსავით, კაცსავით=პატივს-ცემ ვით შვილსა, ვით კაცსა.

ბ) ნათესაობითი თანდებულიანი

- ა) მამისა-თვის: მომაქეს მამისათვის (მამისათვინ)
ბ) მამისა-გან**) მამისაგან

*) იგივე დაბოლოება აქვს თათრულს, მაგალ., ადამ-ლ-რ ადამია-ნები

სახელ. ადამ-ლ ა რ კაცები, ადამიანები.

ნ. ადამ-ლ ა რ-ინ (ინ ქართულშიაც არის, მაგალ. ჩემ-თვინ,-ის, ნახვამდ-ინ,-ის)

მ. ადამ-ლ ა რ-ა

ჟ. ადამ-ლ ა რ-ინან

ადამ-ლ ა რ-დან კაცები-დაძ

**) ი. დამატებით იქცევა სახელარსებითად, რომელიც არის აგ-რედ-წოდებული ნათესაობითი ნაწილები, გამოყოფილი (genitivus par-
titivus). მას აქვს ორთავე რიცხვი: მხოლობ. მამისაგანი, მრავლ.

- დ) მამისა-ლა: მიმაქვეს მამისალა
 ე) მამისა-ლმი უ მამისალმი
 ვ) მამისა-მიმართ „ მამისა მიმართ
 ზ) მამისა-მიერ: იქმნა მამისამიერ
 ც) მამისა-კენ მიმაქვეს მამისაკენ (ფშავ-ხევს. მამისა-კენ
 თ) მამისა-თანა: თაყვანის-იცემების მამისათანა და ძისა-
 თანა
 ი) მამისა-სა: ვარ მიმისასა; გეუბნები მამისასა
 ია) მამისა-ლამო: მოვდივარ ზეგარდამო
 იბ) მამისთანა) როგორი? მამისთანა კაცი არ იქნება.
 მამისნაირი *)
 მამისგვარი
 მამისებრი

შე ენი შვენა. თანდებული კენ(ა) იცვლება სხვადასხვანაი-
 რად: ფშავ-ხევს. მამისა-კენ, ცხენისა-კ; ქიზიყ. მამის-ყენ, კახე-
 თის-ყენ.

გ. მიცემითი თანდებულიანი.

1. მამაზე=მამასა ზედა (თანდ. ზედა)
2. მამასა-ვით (ვით=ვითარუა)
3. მამაში=მამასა-შინა:

შე ენი შვენა. ლაპარაკში ხშირად ამბობენ სახლში, სახლ-
 შიგ, სახლშიდ, სახლშით. ეს ნაირნაირობა წარმომდგარა თან-
 დებულების თუ ზმნისზედების შემოკლებისა და შელევისაგან.
 შემოკლებულად: სახლში, შეუმოკლებლად: სახლსა შინა,
 სახლშიგ—სახლსა-შიგან, სახლშიდ (==სახლშით)—სახლსა-
 შიდა. ში იცვლება აგრეოვე ჩი-დ: სახლ-ში—სახლჩი, ქოხ-ში—
 ქოხ-ჩი.

დ) თანდებულიანი შემოქმედებითი: მამითგან, მამით-
 ურთ.

მამათ აგანი, კაცისაგანი—კაცთაგანი, ერისაკანი—ერთაგანი, შეილი-
 საგანი—შეილთაგანი.

*) ამგვარი გამმარტველები კიდევ ბევრია: მამისხნისა, მამისჭკვი-
 რა, მამისტოლა, მამისბარი, მამისნეგვასი და სხ.

შენი შენა. ლათინურსა და ბევრ სხვა ენებში არის ეგ-რედ წოდებული ენებითი ბრუნვა (casus accusativus), რომლის მაგიერ ქართულში დაისმის სახელობითი ან მიცემითი ბრუნვები. მაგალ.

ვხედავ შვენიერს ვარდს (მიც. ბრ.)

შვილს (მიც. ბრ.) უყვარს მამა (სახ. ბრ.)

შვილი ჰყვარობს მამას (მიც. ბრ.)

დედა სწერს წიგნს (მიც. ბრ.)

დედამ დასწერა წიგნი (სახ. ბრ.)

ქრისტეს უყვარდა მოწაფენი (სახ. ბრ.)

§ 17. სხვა და სხვა სიტყვების კანკლედობა (ბრუნვა).

მხოლ. რიც.

ს. 1. ცხენი	მეგ. ცხენი	სე. ჩაუ.
2. ცხენ-მა	ცხენ-ქ	ჩაუ-დ
ნ. ცხენ-ის	ცხენ-იში	ჩაუ-მიშ
მ. ცხენ-ს	ცხენ-ს	ჩაუ-ს
უ. ცხენ-ით	ცხენ-ით	ჩაუ-შუ
შმ. ცხენ-ად	ცხენ-ო	ჩაუ-დ

მრ. რიც.

ცხენ-ებ-ი	ცხენ-ეფ-ი	ჩაუ-არ .
ცხენ-ებ-მა	ცხენ-ეფ-ქ	ჩაუ-არ-დ
ცხენ-ებ-ის	ცხენ-ეფ-იშ	ჩაუ-რ-ეშ
ცხენ-ებ-ს	ცხენ-ეფ-ს	ჩაუ-არ-ს .
ცხენ-ებ-ით	ცხენ-ეფ-ით	ჩაუ-არ-შუ
ცხენ-ებ-ად	ცხენ-ეფ-ო(თ)	ჩაუ-არ-დ

მხოლ. რიც.

ს. 1. ქორი (=სახლი) სე. ქორ	ქორები	ქორ-არ
2. ქორ-მა / ქორ-დ	ქორ-ებ შა	ქორ-არ-დ
ნ. ქორ-ის ქორ-ე(უ)	ქორ-ებ-ის	ქორ-რ-ე(უ)
მ. ქორ-ს ქორ-ს	ქორ-ებს	ქორ-არ-ს

შ. ქორ-ით	ქორ-შე	ქორ-ებ-ით	ქორ-არ-შე
ზმ. ქორ-ად	ქორ-დ	ქორ-ებ-ად	ქორ-არ-დ
სხვა ფორმები:			
მივდივარ საით? საითკენ?	სახლ-სა, სახლ-ად, ყუდე-დ, ქორ-ად		
(მეგ.)	ჩუდე-შა		
გვინდა რისთვის? რისად?	(სვან.) ქორ-დ	ქორ-თვ	
(მეგ.)	ჩუდე-შ-ოთ		
(სვ.)	ქორ-აშ-დ		
გამოვედი რითგან?	სახლ-ით-გან		
(სვან.)	ქორ-ხან		
ვდგევართ რასთან?	სახლ-თან		
(მეგ.)	ჩუდე-წკუმა		
(სვ.)	ქორ-ცხან		
ვართ რაზე?	სახლ-ზე		
	ჩუდე-ს=(სახლს)		
(სვ.)	ქორ-ე.		

მხოლოდითი

(მეგრ.)

ს. 1. ყუდე	ჩუდე	ყუდე-ნი, ყუდე-ები	ჩუდე-ეფ-ი
2. ყუდე-მ	ჩუდექ	ყუდეთა, ყუდე-ებ-მა	ჩუდე-ეფ-ქ
ნ. ყუდესი	ჩუდე-ში	" ყუდე-ებ-ის (ი)	ჩუდე-ეფ-იში
მ. ყუდე-ს	ჩუდე-ს	" ყუდე-ებ-ს	ჩუდე-ეფ-ს
შ. ყუდე-თი	ჩუდე-თი	ყუდე-ებ-ით	ჩუდე-ეფ-ით
ზმ. ყუდე-დ	ჩუდე-თ	ყუდე-ებ-ად	ჩუდე-ეფ-ო(თ)
წ. ყუდე-ს	ჩუდე	ყუდენო, ყუდე-ებ-ო	ჩუდე-ეფ-ი

მრავლობითი

(მეგ.)

გხოლობითი

მეგრ.

სვ.

ს. 1. მამა	მუმა	მუ
2. მამა-შ	მუმა-ქ	მუ-დ, მუვე-შ
ნ. მამა-სი (მამ-ის)	მუმა-ში	მუ-ეშ, მუვე-შ, მამა-შ

Բ.	Բաթա-և	Բոյթա-և	Բոյ-և, Բաթա-և
Շ.	Բաթա-տո	Բոյթա-տո	Բոյ-ց-Շոյ
ԿԹԲ.	Բաթա-լ	Բոյթա-լ	Բոյ-լ, Բաթա-լ

ମରୀବୁଲାନଦିତୀ.

ს. მამანი, მამები	მუმ-ეფ-ი	მამალ-, მამა-ლ-არ
მამებმა	მუმ-ეფ-ქ	მამა-ლ-დ, მამა-ლარ-დ
მამების	მუმ-ეფ-იშ	მამა-ლ-იშ მამა-ლარ-იშ
მამებს	მუმ-ეფ-ს	მამა-ლ-ს მამა-ლარ-ს
მამებით	მუმ-ეფ-ით	მამა-ლ-შე მამა-ლარ-შე
მამებად	მუმ-ეფ-ო(თ)	მამა-ლ-დ მამა-ლარ-დ
ვართ რაში?	სახლ-ში, -შიგ, -- შიდ, — შიგა(ნ)	
(მეგრ.)	ჩუდე-ში	
(სვ.)	ქორ-ისგა.	
ვზივართ რაზე?	ცხენ-ზე	
	ცხენ-ს (ცხენს)	
	ჩაე-ენ	

როგორი? სეან. ბაჩ-თან (ქვისთანა), ღინა-თან (ასულის-თანა), გეზალ-თან (ძისთანა), ღიათან (დედისთანა).

შექნია 1. მეგრულში ზმნისზედა - ბრუნვის დაბო-
ლოება ოთ, ვით თვით ზმნისზედასიც, იკვეცება ო-დ; ამბო-
ბენ: წინგ-ო, კოჩ-ო, ცხენ-ო, ლორონთ-ო, მუმა-თ, დიდა-თ
(დედათ), ჯიმა-თ (ძმალ), და-თ. ქართულში ად უდრის ათ-ს
და ზმნისზედებში ხშირად თ ისპობა. შეაღარე: ჩქარად—ჩქა-
რა— მეგრ. ჩქარო; კარგად— კარგა— მეგრ. ჯგირო. — სვანურში
ნათეს. ბრუნვის დაბოლოება მიშ (ჩაჟ— მიშ) არის იგივე მიჩა=
მისი (შეაღარე მდაბიური: მამიმის შეილი, მამი ჩემის სახლი, ანუ
მამა ჩემის სახლი). საზოგადოდ, ნათეს. ბრუნვის დაბოლოება
ორნაირად იხმარება— მდაბიურად (შეკვეცილად) და სრულად
(მწიგნობრულად).

სახ. 1. ბაჩ—ქვა, დი—დედა, მუ—მამა, დინა—ასული, გეზალ—ძე
6. ბაჩა(შ) დი-ე(შ) მუვ-ე(შ) დინა-ა(შ) გეზლ-ა(შ)
დი-ა(შ)

ნაწილი (სეან.)	ნათი *	მრავლ.	ნათი-ლ
ნ. ნათი-ი(შ)			ნათი-ლრ-ეშ
გ. ნათი-ს			ნათი-ლ-ს
ჟ. ნათი-შუ			ნათი-ლ-შუ
ზ. ნათი-დ			ნათი-ლ-დ
ნაწილილან	ნათი-თე		ნათი-ლ-თე
ნაწილისლა	ნათი-შ-ლ		ნათი-ლრ-ეშ-ლ
ნაწილისთანა	ნათი თან		ნათი-ლ-თან

1

*) მიმღეობაა სიტყვიდამ თი (—მეგრ. თია—ნაწილი).

თავი მესამე

სახელი ზედშესრული (adjectivum)

§ 18. ზედშესრული სახელი ორგვარია: გითარქბითა (თვითებითი) და დამოკიდებითი.

კითარებითი ზედშესრული გამოიცნობის კითხვით როგორი? რომელი? რაზომი? რამხელა? რამსიღდე? და გვიჩვენებს საგნის თვისებას, მაგალ., კეთილი, თეთრი, კარგი, ყვითელი, მწვანე, შავი, მაგარი, მრუდი, ვეება, ვეებერთელა, უკანა, წინა, პირისპირა, ზემოთი, ქვემოთი, კითხვითი, აღმატებითი, რიცხვითი.

დამოკიდებითი ზედშესრულები გვიჩვენებენ:

1) დამოკიდებულებას დროსაგან, კითხვაზე როდინდება? მაგალ., შარშანდელი, გუშინდელი, დღევანდელი, აწინდელი, უწინდელი, მერმენდელი, წინანდელი, წუხანდელი.

2) დამოკიდებულებას ადგილსაგან, კითხვაზედ სადაურა? მაგალ., იქაური, იქაური, ველური, თუშური, ფშაური, შორეული.

ქართული ენა გონიერ არსებათა ადგილსამყოფელოს განასხვავებს პირუტყვთა და ნივთთა ადგილსამყოფელოსაგან. შეადარე: იმერი—იმერელი (კაცი), იმერული (ლვინო, საქონელი), გორელი (კაცი), გორული (ხილი, ნივთი), მოსკოველი (კაცი), მოსკოვური (ჩაი, შაქარის და სხვ.), კაბი—კანელი (კაცი), კაბური (ლვინო, ხილი). თუში (კაცი), თუშური (ცხვარი, ყველი), ფშავი—ფშაველი (კაცი), ფშაური (ლექსი).

ისი-ზე (ნათეს. ბრუნ. ნიშანია) დაბოლოვებული სახელებისაგან სადაურობითი ზედშესრულები წარმოსდგებიან თავდაპირეანდელ ძირისაგან, მაგალითები:

		კაცი	(ნაწარმოები)
თბილი	თბილ-ისი	თბილ-ელი	თბილ-ური
შინდი	შინდ-ისი	შინდ-ელი	შინდ-ური
კუმი	კუმ-ისი	კუმ-ელი	კუმ-ური (ლელვი)
მანგალი	მანგლ-ისი	მანგლ-ელი	მანგლ-ური

შენიშვნა: ზოგიერთ ასეთ სახელებს ნათეს. ბრ. დაბოლოება არ ეკვეცებათ. მაგალ., ქუთაისი—ქუთაისელი—ქუთათური—ქუთაისური, ოლთისი—ოლთისარი—ოლთისური.

3) დამოკიდებულებას რომელიმე საგნისაგან და მიზზგაფსებას, კითხვაზედ როგორი? რიანი? ურაო? მაგალ.,

ა. ცხენიანი, ხლმიანი, წყნიანი, კევიანი, ძალიანი, ბრალიანი, ყურიანი, ჩთიანი, წყლიანი, ჭირიანი, ძელიანი, თხილიანი, მიწიანი, დავითიანი, ბარათიანი, ჯორჯაძიანი, ჩარკვიანი, ქართლისიანი, ფარნავაზიანი. შეადარე მეგრული: ცხენამი=ცხენიანი, ჩილამი=ცოლიანი, სქუამი=შეილიანი; ძალამი=ძალიანი (ძალუმი), ოშიანი=ასიანი (სვან. აშირიანი), შურამი=სულიანი, თიშიანი—მისიანი. ხერხიანი=სვან. კერკიან, კევიანი—სვან. თველიან.

ბ. გულოვანი, ხმოვანი, სახელოვანი, გელოვანი, ბაგრატოვანი, ხოსროვანი

გ) მოთეთრი, მოჟავო, მოყვითლო, მოწითლო (=მოწითანო), მომცრო, მოდიღო, მომსგავსო, მოუამებული, მიხვედრილი, მომწიფებული, მონალიჩებული, მოსულიერებული, მოხუცებული

დ) ღვთაებრივი, დელობრივი, გმირისებური, ვაჟკაცისებური, ქალებური, ქალისებური, ჩემებური=ჩემებრი, შენებური=შენებრი, მისებური—მისებრი.

მელა—	მელისებური—	მელებრი—	მელური,
გველის-თანა	გველისებური—	გველებრი—	გველ-ური
ღორის-თანა	ღორისებური—	ღორებრი—	ღორ-ული
კაცისთანა	კაცისებური—	კაცებრი(ვი)	კაცური
გორგასლისთანა	გორგასლისებური—	გორ-გასლებრი	გორგასლური,
			გორგასლიანი
დავითისთანა—	დავითისებური—	დავითებრი—	დავითური—
			დავითანი*)

*) ბრძოლა (როგორი? ვისებური?) გორგასლისებური. მეფე (რო-

ბ) ასეთი, ისეთი, ასეთ-ისეთი, ასეთ-ასეთი, ისეთ-ისეთი
აგეთი, იგეთი, აგეთ-იგეთი, აგეთ-აგეთი, იგეთ-იგეთი
ეგეთი, ეგევითარი.

მაგისთანა, მისთანა, მისგვარი, მისებრი
ამისთანა, ამგვარი, მაგგვარი.

ც) ჩემსავით, შენსავით, მამასავით, ღმერთივით, კაცივით
გველივით, მხეცივით, დათვივით, ძროხასავით, ფურივით, ყმა-
სავით.

თ) ადგილი როგორი? — ქვიშრობი, მთობი, დაბლობი,
დაბლარი, მალლობი, მალლარი, ფერდობი, გვერდობი, შეუ-
შრობი.

ი) ტიკტიკა, მძინარა, ტრაბახა, შევირალა, შკვეხარა,
ცქრიალა, მატყუარა, შშიშარა, ჭრიალა, კაცია, ბუტია, ენა-
რანია, ნაცარქექია, დოკლაპია.

ია) საერთო, საერო, სავაჭრო, საზოგადო, სავსე (მეგრ-
ე-ფშავა), სადავო, სააზნაურო (მეგრ. საჟინოსქუო, სვან. სა-
აზნავირი)

იბ) ფერადობა, ორაზროვნობა, დაუღრომლობა, სიმტ-
კიცე და სხ. გამოითქმის ზედშესრულებით: წითელ-ყვითელი,
თეთრ-წითელი, შავკბილა, შავგულა, თეთრგულა, შავგრემა-
ნი, ორგული, ორპირი, მელაყუდა, გველაძუა, იუდისკერძი,
ხელმანკი, გულწმინდა, გულუხვი, გულკეთხრო-
ბილი, გულმყარი, ჩვილგულა, თეთროსანი, შავოსანი, წით-
ლოსანი.

კ) სწორობა ანუ ბარიბარობა გამოიცნობის კითხვით რა
ზომი? რაოდენი? რის ანუ ვის ბარი? მაგ., ამზომი, ამხელა,
მისბარი, მის ტოლი, ესეოდენი, ეგზომი, ეგეოდენი, ესდენი.
„ეგზომი“ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?!“ (რუსთ.)

ნ) მიჩემებითი ზედშესრულები: ჩემებური, შენებური,

გორი) გორგასლისთანა, დავითისთანა. ლროშა (როგორი?) გორგასლუ-
რი, გორგასლიანი, დავითური, დავითიანი.

შაბისეული, მეფისეული, მამეული *), დედეული, შამისა, დედისა, ლეთისა, კაცისა **), ოქროსი, ვერცხლისა, რკინისა. თოფი რინისა (le fusil de fer), ქუდი სავერდისა (le chapeau de velours), ღვინო საფრანგეთისა le vin de France.

ზედშესრულთა წარმოება

§ 19. ზედშესრული იწარმოების:

ა) სახელარსებითთაგან: ადგილი — ადგილობითი; სახელი სახელობითი. ცხენი — ცხენიანი, გორი — გორული, ხელი — ხელოვანი, დახელოვნებული. კაცი — კაცო, წვიმა — უწვიმო, მონა — მონიკო, ყმა — უყმრი, რჯული — ურჯულო.

ბ) ზმნიდამ, მაგალ., წვა — მწვალი, ჭრა — მჭრელი, გაგულისება — გაგულისებული.

გ) სახელარსებითთაგან უარყოფით ნაწილაკის შემწეობით:

მეტი.	სეან.
უადგილო	უარდგილო
უანგარიშო	ადგილ-ურ *
უბალო	უბედე
უბატონო	უპატონო
უგემო	უგიმო
უგვარო	უგვარ
უდელო	უდილო
უმამო	მუ-ურ

*) სახელარსებითნია: მამული, დედული.

**) მამია: მივღივარ მამისა-სა (იქ, რაც ეკუთვნის მამას); ვიყავ საღ? პაპაანთ-სა (იქ, რაც არის პაპაანთი. ბეტყვი რასა? სიტყვასა ღვთისა (იმ სიტყვას, რომელიც არის ღვთისა).

*) სვანურში უარყოფითი უ, ურ (=ქარ. უ, არა) დაისმის სიტყვის თავშიაც და ბოლოშიაც. შეადარე კიდევ: ნიუ-ურ — უწყლო (ნიუ = ლიუ — წყალი), ლიტ-ურ — უტოტო, ჯან-ურ — უჯანო, ჰერ-ურ უბმო, შიურ — უხელო (ში — ხელი). იგრევ ქართულში: კუდა (ინგ-კუდ-ურ)= უკუდო, (ალბად ურუ-ც= ურუ-უ, აგრეთვე წყურვა). მეგრ. ჩხე — ცხელი, ჩხუ — რი — ცივ = უცხელო), ჩე (=თერთი) — თეთრი, უჩა — შავი (=უთეთრო).

უცოლო	უწილო	უმიერა (= <u>უსილო</u>)
უსუნო	უშურე (= <u>უსულო</u>)	უგნურ
უგუნური		უგნურ
უგვანი, უშსგავსი, უბიშო, უშურველი, უხვი, ურცხვი, უსახლო, უსახლკარო, უპურმარილო, უქონებო, უპირო, უი- მისო, უიმყაცო, უმაგათო, უმაგისო.		
	მეგრ.	სვან.
და-უ-ვარცნი (დაუვარცნელი)	უ-რცხონ	უ-ცხენა (ლა-ცხნირ-ვარცნა)
დაუწერ(ელი)	უ-ჭარ	უ-ლირა (ლირი-წერა)
დაუბან(ელი)	უ-ბონი	ჩუ-უ-ბრალა (ლი-ბრალი-ბანვა)
დაუსოლებელი	უ-შოლი	ჩუ-უ-ურა (ლი-ურალე-სველება)
დ) თავდაპირვანდელ	ზედშესრულიდამ:	შავი— მოშავო , გრძელი— მოგრძო (მოგრძელო),
ე) მიმღებიდამ:	გამხმარი—მხმარი—ხმელი, გამდნარი— მდნარი, მსხმოიარე, მჯდომარე.	
ვ) ნაცვალსახელიდამ:	ჩემებური, მისებური, მისებრი.	
	ზედშესრულთა ბრუნვა (კანკლედობა)	
§ 20 ყოველი ზედშესრული იბრუნვის ისრევე, როგორც სახელარსებითნი. მაგალითები:		
ს.1.—შავი	შავები,	შავ-ნი
2. შავმა	შავებმა	შავთა
ნ. შავის	შავების	
მ. შავს	შავებს	
ჟ. შავით	შავებით	შავთა-მიერ
ზ. შავად	შავებად	
წ. შავო	შავებო	შავნო
ი-ზე დაბოლოებულ	ზედშესრულის	და აგრეთვე კუთ- ვნილებით ზედშესრულების ბრუნვა სახელარსებითთან ერთად. (მწიგნობრული)
ს.1. კეთილ-ი	კაც-ი	კეთილ-ი
2. კეთილ	კაც-მა	კეთილ-მან

ნათ.	კეთილ	კაც-ის	კეთილ-ისა	კაც-ის
შიც.	კეთილ	კაც-ს	კეთილ-სა	კაც-სა
შემ-	კეთილ	კაც-ის	კეთილ-ითა	კაც-ითა
ზმ.	კეთილ	კაც-ად	კეთილ-ად	კაც-ად
წო.	კეთილ	კაც-ო	კეთილ-ო	კაც-ო

ს.1.	მამის	ცხენ-ი	ცხენ-ი	მამი-სა
2.	მამის	ცხენ-მა	ცხენ-მან	მამისა-მან
ნათ.	მამის	ცხენ-ის	ცხენ-ისა	მამისა-ისა
მიც.	მამის	ცხენ-ს	ცხენ-სა	მამისა-სა
შემ.	მამის	ცხენ-ით	ცხენ-ითა	მამისა-ითა
ზმ.	მამის	ცხენ-ად	ცხენ-ად(ა)	მამისა-დ(ა)
წო.	მამის	ცხენ-ო	ცხენ-ო	მამისა-ო

შენი შენა. ზედშესრულები, რომელნიც ბოლოვფებიან ა, ო, უ, ე-თი, არ იბრუნვიან, როდესაც არიან განსამარტი სიტყვის წინ. მაგალითები:

მჭრე ხმალი, ხმალმა, ხმლის, ხმალს, ხმლით, ხმლად, ხმალო ურუ კაცი, კაცმა, კაცის, კაცს, კაცით, კაცად, კაცო უჭიუო ვირი, ვირმა, ვირის, ვირს, ვირით; ვირად, ვირო კუდა ხარი, ხარმა, ხარის, ხარს, ხარით, ხარად, ხარო

მწიგნობრული კანკლედობა

ს.1.	ტყვეობა	ბაბილონელთა	ხმალი	მაისურაძისა
2.	ტყვეობამან	ბაბილონელთამან	ხმალმან	მაისურაძისამან
ნათ.	ტყვეობისა	ბაბილონელთაისა	ხმლისა	მაისურაძისაისა
მიც.	ტყვეობასა	ბაბილონელთასა	ხმალსა	მაისურაძისასა
შემ.	ტყვეობითა	ბაბილონელთაითა	ხმლითა	მაისურაძისაითა
ზმ.	ტყვეობადა	ბაბილონელთადა	ხმლადა	მაისურაძისადა
წო.	ტყვეობაო	ბაბილონელთაო	ხმალო	მაისურაძისაო

მხოლ. რიც.

ს.1.	ტყვეობა	ბაბილონისა
2.	ტყვეობამან	ბაბილონისამან
ნათ.	ტყვეობისა	ბაბილონისაისა

მიც.	ტყვეობასა	ბაბილონისასა
შ.	ტყვეობითა	ბაბილონისაითა
ზმ.	ტყვეობადა	ბაბილონისადა
წ.	ტყვეობაო	ბაბილონისაო

მრავ. რიცხ.

- ს.1. ტყვეობანი იგი ბაბილონისანი ხმალნი მაისურაძისანი
 2. ტყვეობათა მათ ბაბილონისათა ხმალთა მაისურაძისათა
 6. ტყვეობათა მათ ბაბილონისაითა
 წ. ტყვეობანო ბაბილონისანო ხმალნო მაისურაძისანო

ხ ა რ ი ს ხ ნ ი.

ქ 21. ვითარებით ზედშესრულს აქვს სამი ხარისხი:

დადებითი, შედარებითი და აღმატებითი.

დადებითი ხარისხი გვიჩვენებს ვითარებას ანუ თვისებას გარეშე საგანთან დამოუკიდებლად და ბოლოვდება ყველა ხმოვან ასოზე, მაგ. კეთილი, შვენიერი, წითელი, ბლუ, დრკუ, მწარე, მჭლე, მჭრე.

შედარებითი ხარისხი გვიჩვენებს ერთის საგნის ვითარების ანუ თვისების მეტ-ნაკლებობას სხვა საგნის თვისებასა თუ ვითარებასთან შედარებით. შედარებითი ხარისხის მაჩვენებელია თაესართი უ და დაბოლოება ესი.

აღმატებულებითი ხარისხი გვიჩვენებს თვისებასა თუ ვითარებას ერთს საგანში უმეტესად, ვიდრე დანარჩენ სხვა საგნებში. მისი მაჩვენებელია უუ და დაბოლოება ესი, ანუ სიტუვები ძალიან, ფრიად, მეტად და სხ.

ხ ა რ ი ს ხ ე ბ ი.

ა) ჩვეულებრივი:

დადებითი	შედარებითი	აღმატებითი
კარგი	უკარგესი	უუკარგესი
კაი	უკეთი, უკეთესი	უუკეთესი
(მეგ.) ჯგირი	უაგუში	

(მეგრ.) დიდი	უდიდაში	ნაბეტანი დიდი
მრავალი	უმრავლესი	უუმრავლესი, უამრავი
(მეგ.) ჭიჭე (პატარა)	უჭიჭეში	ძალამი ჭიჭე
კიდური	უკიდურესი	უუკიდურესი
წმინდა	უწმინდესი	უუწმინდესი
შავი	უშავესი	უუშავესი
მაღალი	უმაღლესი	უუმაღლესი
მცირე	უმცირესი (=უმციროსი)	უუმცირესი

ბ) აღწერილობითი:

1) დად. შედარ.	აღმ.
კარგი ძალიან კარგი	მეტად, მეტისმეტად კარგი
მეგ. ჯგირი ძალამი ჯგირი	ნაბეტანი ჯგირი
წმინდა დიალ წმინდა ფრიად, უმეტესად	წმინდა
მეგ. წმინდა ძალამი წმინდა	გვალას წმინდა
მეგ. დიდი უდიდაში	ნაბეტანი დიდი.
2) შედარებით ხარისხებს აღნიშნავს აგრეთვე წინადადება, რომლის შესმენილი არის ზედშესრული, დამატება-კი—მიუმითი ბრუნვა თანდებულით ზე, ზედაც. მაგალითები:	

დადებ. ხარისხი.	შედარებ. ხარისხი	აღმატებ. ხ.
მამა მაღალია	შვილი მამაზე მა-	დედა შვილზე-
ღალია	ღალია	დაც მაღალია
ის დაბალია	ეს იმაზე დაბალია	ეგ იმაზედაც
ვანო ბეჯითია	არჩილი ვანოზე	თამრო არჩილ-
ბეჯითია	ბეჯითია	ზედაც ბეჯითია
ხარი ღონიერია	კამეჩი მაზე ღონი-	სპილო მაზედაც
	ერია	ღონიერია
თევისების ნაწილს, სიძუნიქეს გვიჩვენებს		თავსართი შო—
მაგალ.,		

დადებითი:

შავი	მოშავო
წმინდა (სვან. წყილიან)	მოწმინდავე (მაწყლიანე)
ღიღი (მეგრ. ღიღი)	მოღიღო, მოღიღე
ახალი (მეგრ. ახალი)	მოახალე
ყვითელი (მეგრ. ყვინთელი)	მოყვითელე, მოყვინთელე
სვანურში შედარებით ხარისხის თავსართად იხმარება სო, (=ქართ. უ), რომელიც ჩნდება აგრეთვე ზმნებშიაც (ხო— ბემ=უ-ბამ), ხოლო აღმატებითისა მა—ე (=ქართ. მო—ე).	
შეაღარე:	

დადებითი:

კელთხი

(მაღალი)

წერნი

(წითელი)

მეშხე

შედარებითი:

ხო-კლათხ-ა

(უ-მაღლ-ე)

ხო-წრან-ა

(უ-წითლ-ე)

ხო-შხ-ა

აღმატებითი

მო-კლათხ-ე

(მო-მაღლ-ე)

მა-წრან-ე

(მო-წითლ-ე)

მა-მშხ-ე

შავი—მეშხე, მოშავო—მომშხა, თეთრი — თეთვნე, მოთვ
თრო — მოთოვან.

ხარისხებსვე გვიჩვენებენ სიტყვები:

- ა) ღიღი—ღიღდი, წვრილი—წვრილწვრილი, ციფი—ციფ-
ციფი,
თბილი — თბილთბილი, ხმელი — ხმელხმელი, სველი — სველ-
სველი,
გრძელი — გრძელგრძელი (მეგრულ. გინძეგინძე)
- ბ) ღიღი — ვეება — ვეებერთელა — უშველებელად ღიღი.
ღიღი — ვეება — ღევი — ღევისტოლა.
(ინგ.) ღიღი — ფანკაცა (აღამიანის შესახებ), კოტმანი = მთაკა-
ცი.
პატარა — პატარა — (პაწაწა) — პაწია — პაწა — პაწაწინა.

(ინგ.) პატრად—პაშტა *) —პატა—პიწიწად—პიწიწა —ბეჭო.
ბარი—უებარი**)—უებრო—უებრი.

*) პატა (ცოტა, პატარა ხანს) მოვისვენოთ, რაღვან 3 ა შ ტ ა გზად
ჯერ ისევ გასავლელი გვაქვს.

**) ბარი=სწორი. მისგანკევ წარმოებული: აბრა, ბარი-ბარი (ინგ.
ბარაბარი—თანასწორი), უებარი, უებრო—უსწორი, შეუდარებელი, შეუს-
წორებელი.

თავი გეორგე

ნაცვალსახელი

§ 22. ნაცვალსახელი დაისმის რომელიმე პირის ანუ საგნის ნაცვლად, მაგიერად (ნაცვალსახელი=სახელის ნაცვლად, შაგიერ) და არის

ა) **პიროვნებითი**, როდესაც გვიჩვენებს რომელიმე პირის წახელს, მაგ. მე, შე(ნ), ი, ის, იგი, ჩვენ, თქვენ, ისინი, იგინი*)

მეგ. მა, სი, ი, ინა, თინა, ჩქი, თქვა თინეფი

სვ. მი, სი, ალა, აჯა, ნა სგა ალიარ, ეჯიარ.

ბ) **კუთვნილებითი**, როდესაც გვიჩვენებს კუთვნილებას, შაგალ., ჩემი, შენი, მისი, თვისი, ჩვენი, თქვენი, მათი, იმათი, იმგენის, მაგენის, მაგათი, ამათი, იმათი

გ) **კითხვითი**, მაგალ., ვინ? რა? ვისი? რისი?

დ) **ჩვენებითი**, მაგალ., ეს, ის, ესე, ისი, ეგ, ეგე, იგი, აგი, მაგი, მაგისთანა, ამისთანა, ამნაირი, მაგნაირი, ამ, იმ, ამან, იმან, ამგვარი, იმგვარი, ასეთი, ისეთი

ე) **საზღვრებითი**, მაგალ., თვით, თვითონ, თვითეული, ყოველი, ყველა, სულ.

ვ) **განუსაზღვრი**, მაგალ., ვინმე (მ. მიგიდენი, სვ. იარვალე), რამე (მუთუნი, სვ. მალე), ზოგიერთი, რომელიმე, ვიღაც (ვინღაც), რაღაც

ზ) **დამოკიდებითი**, მაგალ., რომელი (ინგ. რემენი ==ჰემენი), მეგრ. ნამუ, სვ. ხედა.

მამაო	ჩვენო,	რომელი	ხარ	ცათა	შინა
-------	--------	--------	-----	------	------

ინგ.	მამაო	ჩვენო,	რემენი	ხარ	ცაში
------	-------	--------	--------	-----	------

მეგ.	მუმა	ჩქინი,	ნამუ	რექი	ცაში
------	------	--------	------	------	------

სვან.	მუ	გვიშვევე,	ხედა	უი	დეცარისგა **)
-------	----	-----------	------	----	---------------

*) შეაღარე თათრული: მენ—მე, სენ—შენ, მენინ—ჩემი, ცენინ—შენი.

**) დეც—ცა, დეცარ—ცათა ისგა—შიგა. უი—ზე

§ 22. ნაცვალსახელის ბრუნვა (კანკლედობა)

არ იბრუნვიან პიროვნებითი ნაცვალსახელები: მე, შენ, ჩვენ, თქვენ, თვით, თვითონ, თუმცა-ლა შემდეგი ფორმები პიროვნებითად იხმარება.

ნათეს.	ჩემთვის	ჩემგან	ჩემ-მიერ,	ჩემკენ	ჩემდა
	შენთვის	შენგან	შენმიერ	შენკენ	შენდა
	ჩვენთვის	ჩვენგან	ჩვენმიერ	ჩვენკენ	ჩვენდა
	თქვენთვის	თქვენგან	თქვენმიერ	თქვენკენ	თქვენდა
მის.	ჩემზე	ჩემსავით	ჩემში	ჩემთან	ჩემსა(ს)
	შენზე	შენსავით	შენში	შენთან	შენსა(ს)
	ჩვენზე	ჩვენსავით	ჩვენში	ჩვენთან	ჩვენსა
	თქვენზე	თქვენთვის	თქვენში	თქვენთან	თქვენსა
შ.	ჩემით,	ჩემითურთ	უჩემოთ		
	შენით	შენითურთ	უშენოთ		
	ჩვენით	ჩვენითურთ	უჩვენოთ		
	თქვენით	თქვენითურთ	უთქვენოთ		

შენი შენა: ზმნებში, მრ. რიცხ. 1-ლ პირში პიროვნებით ნაცვალსახელებად იხმარებიან:

გვ— მ—, მაგალ.

მ-ყავს	გ-ყავს	ჰ-ყავს	გვ-ყავს
სვ.	მა-ყა	ჯა-ყა	ხა-ყა
მეგ.	მი-ჩუნს	გი-ჩუნს	უ-ჩუნს
პური	ჩენი	არსობისა	მომეც (=მო-გვ-ეც) ჩვენ დღეს
ქობალი	ჩენინ	ორიანალო	ქომუჩი (=ქო-მუ-ჩი) ჩეი ამუ-დღა.
დო	მომიტეგენ	(=მო-გვა-ტევენ)	ჩვენ თანანადებნი
დო	მაპატიი	(=გვა-პატიე)	ჩეინი ვალეფი
ნუ	შემიუვანებ	(ნუ შე-გვი-ყვან)	ჩვენ განსაცდელსა
ნუ	მიშამირონანქ		ჩეი განსაცდელიშა
არამედ	მისხნენ	(გვი-ხსენ)	ჩვენ ბოროტისაგან
დო	გიშა-მირსი		ჩეი ბოროტიშე.

2) მესამე პირის ნაცვალსახელების ბრუნვა.

ს. 1. ისა, ესა, იგი, აგი (მეგ.) ინა, თინა, თენა (სვ.) აჯა, ალა

2.	იმან, ემან, ამან	იქი, თიქი, თექ აჯნებ, ამნებ
6.	იმის, ემის, ამის მისი	იში, თიში, თეში აჩ-ა(შ) ამ-ი(შ)
8.	იმას, ემას, ამას	ის, თის, თეს აჩას, ალას
შ.	იმით, ემით, ამით	იშით, თიშით, თეშით აჯნოშ, ამნოშ
ზ.	იმად, ემად, ამად	ამითან*)

მრ. რ.

ს. 1.	ისინი, ესენი, იგინი, აგენი ინეფი, თინეფი, თენეფი აჯიარ, ალიარ
2.	იმათ, ემათ, ამათ, იგინმა ინეფქ, თინეფქ, თენეფქ აჯიარდ, ალიარდ
ნ.	იმათი, ემათი, ამათი, იგინის, ინეფიში, თინეფიში, თენეფიში, აჯა- რე(შ), ალიარე(შ)
მ.	იმათ, ემათ, ამათ, იგინს ინეფს, თინეფს, თენეფს აჯიარს, ალიარს
შ.	იმათით, ამათით, იმგენით ინეფიშით... აჯიარ-შუ, ალიარ-შუ,
ზ.	იმათად, ამათად, იმგენად.

არსებით სახელთან ერთად:

ს. 1.	ის, იგი	სახიერი	ანუ	სახიერ-ი იგი
2.	იმ	სახიერ-მან		სახიერ-მან მან
ნ.	იმ	სახიერ-ის		სახიერ-ისა მის
მ.	იმ	სახიერ-ს		სახიერ-სა მას
შ.	იმ	სახიერ-ით		სახიერ-ითა მით
ზნ.	იმ	სახიერ-ად		სახიერ-ადა მად.

მრ. რ.

სახიერნი იგი
სახიერთა მათ
სახიერთა მათ
სახიერთა მათ მიერ

ვ) კუთვნილებით ნაცვალსახელის ბრუნვა

		მეგრული	სვანური
ს. 1.	ჩემი—ჩვენი	ჩემი—ჩენი	მიშვეი—გვიშვე
2.	ჩემ-მა—ჩვენმა	ჩემ-ქ-—ჩენქ	მიშვეა—გვიშვე
ნ.	ჩემის—ჩვენის	ჩემი—ჩენიში	მიშვეა—გვიშვე
მ.	ჩემს—ჩვენს	ჩემს—ჩენს	მიშვეას—გვიშვე

*) ამისთანა, მდაბიურად ამითანა.

შ. ჩემით—ჩვენით

ზ. ჩემად—ჩვენად

წ. ჩემო—ჩვენო

- ს.1. შენი—თქვენი სქანი—თქვანი ისგვი—ისგვე
2. შენმა—თქვენმა სქანქ—თქვანქ ისგვა—ისგვე
ნ. შენის—თქვენის სქანიში—თქვანიში ისგვა—
მ. შენს—თქვენს სქანს—თქვანს ისგვას—ისგვეს
უ. შენით—თქვენით
ზ. შენად—თქვენად
წ. შენო—თქვენო
- ს.1. მისი—მათი მუში მიჩა
2. მისმა—მათმა მუშიქ მიჯნებ
ნ. მისის—მათის მიჩა (შ.)
მ. მისს—მათს მიჩას
ჟ. მისით—მათით მიჩ-ოვშ
ზ. მისად—მათად
წ. მისო—მათო

(მრავ. რ.)

ს.1. თვისი (თავისი) თვისნი, თვისთა

2. თვისმა თვისთა

ნ. თვისის თვისთა

მ. თვისს თვისთა

ჟ. თვისით თვისთა მიერ

ზ. თვისად თვისთად

წ. თვისო თვისნო

4 ჩვენებით ნაცვალსახელის ბრუნვა

ს.1. ეგ=მაგი *) მაგენი

*) უარყოფითი ნაწილაკი უ ნაცვალსახელებს (და სხვა-სახელებსაც) გარდააქცევს ზეღუდესრულებად და ზმნისზედებად. შეადარე: ჟედჟისძე. ჟმნისზედ.

უმაგისო (როგორი?) უმაგისოდ (როგორი?)

2.	მაგან	მაგათ	მაგენმა
6.	მაგის	მაგათი	მაგენის
8.	მაგას	მაგათ	მაგენს
7.	მაგით		მაგენით
9.	მაგად		მაგენად

5) საზღვრებით ნაცვალსახელის ბრუნვა

ს.1.	ყოველი, ყველა	ყოველნი, ყველანი, ყოველთა.
2.	ყოველმა, ყველამ	ყოველთა
6.	ყოველის, ყოვლის,	ყველას(ი) ყოველთა
8.	ყოველს ყველას	ყოველთა
7.	ყოვ(ე)ლით ყველათი	ყოველთა-მიერ
9.	ყოვლად	ყოველთად
წ.	ყოველო ყველაო	ყოველნო ყველანო

6) კითხვით ნაცვალსახელის ბრუნვა

ს.1.	ვინ? *) რა? **),	რანი? რიები? (სოფლ.)
2.	ვინ? რამ?	რიებმა?
6.	ვის(ი)? რის(ი)?	რის(ა)? რიების?
8.	ვის(ა)? რას(ა)?	რიებს?
7.	ვის-მიერ? რით(ა)?	რიებით?
9.	რად(ა)? რათ(ა)?	რიებათ?
წ.	რაო?	რანო? რიებო?

უიმისო	უიმისოდ
უჩემო	უჩემოდ
უშენო	უშენოდ
უმამო (სახლი)	უმამოდ (დარჩენილი სახლი)
ულმერთო (კაცი)	ულმერთოდ (მოლაპარაკე)
უგზო-უკვლო (სოფელი),	უგზო-უკვლოდ (მოსიარულე)

*) ინგ. მინ, მინამ—ვინმე—ვინამე; მეგრ. მინ, მი, მიქ: მინ მეურს—ვინ მიდის? მინ მურს—ვინ მოდის? მი გილურს—ვინ დალის? მინ. რექ—ვინ ხარ?

**) = მეგრ. მუ = სვან. მა, იმ.

7) յոտեզօտո և պարբերական բառալսանելու ծրագիր

- | | | |
|----|---------|---------|
| 1. | զօսօ? | հօսօ? |
| 2. | զօսմա? | հօսմա? |
| 3. | զօսօ՞ւ? | հօսօ՞ւ? |
| 4. | զօսս? | հօսս? |
| 5. | զօսոտ? | հօսոտ? |
| 6. | զօսալ? | հօսալ? |
| 7. | զօսո՞ւ? | հօսո՞ւ? |

8) յոտեզօտո բառալսանելու ծրագիր.

- | (օճշ.) | (թցիր.) | թհազար. |
|-----------------------------|------------------------------|---------|
| Ճ. 1. մին? լմբերտ. | մի? լոռհոնտո — լոռհոնտցոյն | |
| 2. մինմա? լմբերտ-մա. միյ? | լոռհոնտոյի լոռհոնտցոյնի | |
| Ճ. միսօ? լմբերտ-օ(ս) մի՛սօ? | լոռհոնտո-՛մօ լոռհոնտցոյնի՛մօ | |
| Ճ. միս? լմբերտ-ս միս? | լոռհոնտո-ս լոռհոնտցոյնս | |
| Շ. միտ? լմբերտ-ոտ միտ? | լոռհոնտո-տ լոռհոնտցոյնոտ | |
| Ն. միսալ? լմբերտ-ատ մի՛շալ? | լոռհոնտ-ա լոռհոնտցոյնի՛շալ | |
| Վ. մինո՞ւ? լմբերտ-ո՞ւ | | |

մօստց՞ն? լմբերտուն-տց՞ն / մի՛շոտ? լոռհոնտո-՛շոտ = լմբեր-
միսեցօտ? լմբերտօցօտ { տօստցուն

- | (թցիր.) | (սցան.) |
|-----------------------|------------------------------|
| Ճ. 1. մց? լքենո | մա? հայ հա? լքենո |
| 2. մցյ? լքեն-յ | մենց-լ? հայ-լ համ? լքենմա |
| Ճ. մց՛մօ? լքենո՛մօ | մ-ո(՛մ) հայ-մո՛մ հոմ? լքենմօ |
| Ճ. մցս? լքենս | մ-ոս? հայ-ս համ? լքենս |
| Շ. մցու? լքենու | մենո՛մյ? հայ-մյ հուտ? լքենու |
| մցո՞ւ? (հաձ?) լքենո՞ւ | մօ(՛մ)են? հայ-են լքենուսցան |
| մց՛կլմա? լքենո՛կլմա | մօ(՛մ)են? հայ-են լքենուսցան |
| մց՛մոտ? լքենո՛մոտ | մօ(՛մ)են? հայ-տան լքենուստան |
| | |
| | |

9) დამოკიდებითი ნაცვალსახელის ბრუნვა.

ს.1 რომელი*), როგორი რომელნი, როგორნი
(რაგარი, როგო, რავა)

- | | | |
|------------|-----------------|------------------|
| 2 რომელმა, | როგორმა | რომელთა, როგორთა |
| ნ. რომლის, | როგორის | რომელთა, როგორთა |
| მ. რომელს | როგორს | რომელთა როგორთა |
| შ. რომლით | როგორით | რომელთა-მიერ |
| ჭ. რომლად | როგორად (რავარ) | |
| ნ. რომელთ | როგორთ (რაგართ) | რომელნო, როგორნო |

10) განუსაზღვრელ ნაცვალსახელის ბრუნვა.

ს.1 ვინმე, რამე, რომელიმე***, ვინლაც, ვინცლა რალაც
(ვილაც) (რაცლა)

- | | | | |
|---|------------|----------|-----------|
| 2 ვინმემ რამემ | რომელიმემ | ვილაცამ | რალაცამ |
| ნ. ვინმესი რამესი | რომელიმესი | ვილაცასი | რალაცასი |
| (ვისიმე) (რისამე) (რომლისამე) | | | |
| მ. ვინ-მე-ს რამეს | რომელიმეს | ვილაცას | რალაცას |
| (ვისმე) (რასმე) (რომელსამე) | | | |
| შ. ვინმეთი რამეთი | რომელიმეთი | ვილაცათი | რალაცათი |
| (რითმე) (რომლითამე) | (ვილაცით) | | (რალაცით) |
| ჭ. ვინმედ რამედ | რომელიმედ | ვილაცად | რალაცად |
| (რომლიადმე) | | | |
ბ) **რიცხვითი სახელი**: ს:მნი მოდიან. „თრნი კაცნი მოდიოდეს, საღაური სადმე გზასა“. მრავალი (კაცი) დახმარეთ.

გ) **ზედშესრული**. ჩჩილი (ყმაწვილი) იღვიძებს. გრძელი (რამ) შემოკლდა. შშიშარა (კაცი) მოვიდა. კეთილმა გვაცხონა, ბოროტებამ დაგვლუპა. ქვეითი (კაცი) მოდის.

დ) **ზმისზედა**: კეთილად სიტყვაა (კეთილად არის სიტყვა).

ე) **სახელზმია**: წერა მაღლია. წარსულის მოგონება საამოა.

ვ) შორისდებული: ვაიშე! ისმოდა ტყიდგან. ვაშა გაის-
მოდა დარბაზში.

ზ) მთელი წინადაღება: „გიხაროდენ, მიმაღლებულო მა-
რიამ!“ შეიქმნა საეკლესიო გალობად. „ლეკვი ლომისა სწო-
რია, მუ იყოს, თუნდა ხვადია“ გარდაიქცა საერო თქმულე-
ბად.

§ 4. შესმენილი.

შესმენილი გამოიცნობის კითხვით რას შვრება? რას შვრე-
ბოდა? რაქნა? რას იქს? რა ქნას? რას სჩადის? რას იზამს? რა
ქმნილა? რააზ ვინაა? ვისია? როგორია? სადაურია?

შესმენილად არის ხოლმე:

ა) ზმნა: ვკითხულობ წიგნს; ნეტა ვკითხულობდე წიგნს;
წიგნი წავიკითხე. მასწავლებელი მხბრძნა.

ბ) არსებითი სახელი: ფარნავაზი მეფეე (ფარნავაზი არს
მეფე). პეპელა მწერია. ეს მმაა. ბარათაშვილი მგრძნია.

გ) ზედშესრულილი: ღმერთი უხილავია. ზოგი კაცი ბრძენია.
„ბაქი-ბუქი ბაქრაძეს, ხმალი—მაისერაძეს“ (ბაქი-ბუქი არს ბა-
ქრა ისა, ხმალი არს მაისერაძეს).

დ) ნაცვალსახელი: წიგნი ჩემია. სახლი თქვენია.

ე) მიმღება: იგი წერებულა, ერთადა; სიტყვა წარმოთ-
ქმულა. დედა მისი მგლოვიარეა. ეს მისი ნათქვამია.

შეადარე: იგი პაც-არს (კაცი-ა)

ღმერთი ერთ-არს (ერთი-ა)

იგი ნეტარ-არს (ნეტარი-ა)

იგი კარგად-არს (კარგადა-ა)

ყურძენი გორული-ა, კაცი გორელია

ლობიო გურული(ა), ლვინო გახური(ა), ყველი თუშური(ა)
(ლობიო არს გურული) (ლვინო არს კახური) (ყველი არს თუ-
შური)

შესმენილის შეთანხმება ქვემდებარესთან.

1) შესმენილი შეეთანხმება ქვემდებარეს რიცხვში მაშინ,

როდესაც უკანასკნელი სულიერია: კაცი მოდის, კაცნი მოდიან; ცხენები ძოვენ, ცხენი ძოვს; ბუზი ბზუის, ბუზები ბზუგიან; მამალი ყიოდა, მამლები ყიოდენ.

2) როცა ქვემდებარედ უსულო საგანია, შესმენილი ხან შეეთანხმება მას რიცხვში, ხან არა.

შეადარე: გზა გრძელია, გზები გრძელია, გზა-ნი გრძელნია.

სახლი ინგრევა,	სახლები ინგრევა,	სახლნი ინგრევიან
სიტყვა { მოისმის		სიტყვანი მოისმიან

წყალი დამშრალა წყლები | დამშრალან
წყალნი |

ზღვა ღელაყს ზღვები (=ზღვანი) ღელავენ

3) შესმენილი ეთანხმება ქვემდებარება და დამტებას:
ქრისტემან წარავჭინა პეტრე

ქრისტემან წარავჭინა პეტრე და პავლე.

ქრისტემან იხილა მოციქული

ქრისტემან იხილა მოციქულნი.

მას უჭამია პური

მას უჭამია პურნი.

შენიშვნა: ამავე აზრით იხმარება ფორმები:

მშია (ერთი რამ, ერთგზის) მშიან (ბევრი, მარადის)

(მწყურის) მწყურიან

(მიხარის) მიხარიან

4) როცა ქვემდებარედ რიცხვითი სახელია, ზედშესრული ან ნაცვალსახელი, შესმენილი შეეთანხმება ასე:

(მხ. რ.)	(მრ. რ.)
სამი კაცი მოდის	სამნი კაცნი მოდიან =

ათასი კაცი იყო	ათასნი კაცნი იყვნენ
----------------	---------------------

ვიეთი კაცი იყო	ვიეთნი კაცნი იყვნეს
----------------	---------------------

ვინშე მთიელი ჩამოვიდა ბარად ვინშენი მთიელნი...	
--	--

ବେଳାରୁମା କ୍ଷୁଣ୍ଡିତ ପାଦରୀ	ବେଳାରୁମା କ୍ଷୁଣ୍ଡିତ ପାଦରୀ
ମରାଗାଲମା ନାମିତା ପାଦରୀ	ମରାଗାଲମା ନାମିତା ପାଦରୀ
୫) ଶେଷମେନ୍ଦ୍ରିୟରେ ଉପରେ ଅନ୍ତର୍ଭାବରେ ପାଦରୀ	୫) ଶେଷମେନ୍ଦ୍ରିୟରେ ଉପରେ ଅନ୍ତର୍ଭାବରେ ପାଦରୀ
ମାମିଲା, ମାମିଲା ଏବଂ ମାମିଲାରେ ପାଦରୀ	ମାମିଲା, ମାମିଲା ଏବଂ ମାମିଲାରେ ପାଦରୀ
ମାମିଲା, ମାମିଲା ଏବଂ ମାମିଲାରେ ପାଦରୀ	ମାମିଲା, ମାମିଲା ଏବଂ ମାମିଲାରେ ପାଦରୀ
ମାମିଲା, ମାମିଲା ଏବଂ ମାମିଲାରେ ପାଦରୀ	ମାମିଲା, ମାମିଲା ଏବଂ ମାମିଲାରେ ପାଦରୀ

6) უარყოფით შესმენილის შეთანხმება:

- არა მე მოვალ მანდ(ა)
- მე არ მოვალ მანდ(ა)
- მე მოვალ არა მანდ ა)
- მე მანდ არ მოვალ.

§ 5. ଲାଭାତ୍ୟକ.

დამატებითი სიტყვა განმარტავს, პესნის შესმენილს და მიუგებს კითხვაზე: ვინ? რა? ვისი? რის? ვის? რათ? რად? ვაზე? რაზე? დამატება არის პირდაპირი და არა პირდაპირი.

პირდაპირი დამატება დაისმის სახელობით 1-ლა და მიცემითს ბრუნვებში, არა-პირდაპირი—ნათესაობითსა, შემოქმედებითსა და ზნისაზღვებითს ბრუნვებში. შეაღარე:

ქვემდ.	შესმ.	დაზიან.
შოთარმ	დასწერა	„ვეფხისტყაოსანი“
პეტრემ	მოიყვანა	ცხენი
ივანეს	უსწავლია	გაკვეთილი.
დავითმეფემ	ააშენა	საქართველო
ლევანმა	დაიტირა	ჩიტი მახით
ლევანი	იქერს	ჩიტს მახით
მეფე	აშენებს	ქვეყანას
ვანო.ს	უყვარს	მამა.

საზოგადოდ, წარსული სრული ღროვის შესმენილები მო-
ითხოვენ, რომ ქვემდებარე დაისმებოდეს სახელმისამართის მეორე-

ში, ხოლო დამატება—სახელობით პირველში, აწყუო ანუ შეუსრულებელ ღროის შესმენილები კი მოითხოვენ ქვემდებარეს სახელობით პირველს და მიცემითში, დამატებას—სახელობით პირველსა და მიცემითში. შეადარე:

არჩილი იჭერს ჩიტს

არჩილ-მა დაიჭირა ჩიტი არჩილი იჭერდა ჩიტს

არჩილ-მა (და)იჭიროს ჩიტი არჩილი დაიჭერს ჩიტს
არჩილი იჭერდეს ჩიტს

არჩილ ს ეჭირა ჩიტი

არჩილ-ს და-ეჭირა ჩიტი

არჩილ-ს (და)ეჭიროს ჩიტი.

ამ კანონს არ ეძოტჩლება რამდენიმე ზმნა, მაგალ., ცოდნა, უწყება, ძლევა, შიება, წყურევა და სხ. შეადარე:

მამა-მ იცის, იცოდა, იცოდეს.

მამა-მ უწყის, უწყოდა, უწყოდეს.

მამა სძლევს, სძლევდა, ძლევდეს.

მამა-მ სძლია, სძლიოს.

მამა-ს შია, შიოდა, ეშია, ეშიების, ეშიოდეს.

მამას სწყურიან, სწყუროდა, მოეწყურა, მოეწყუროს, ეწყურებოდეს.

არაპირდაპირი დამატება დაისმის თანდებულებით და უთანდებულოდ, შეადარე:

პური მიმაქვს მამისთვის

კაცი მოდის ცულით

წყალი იქცა ღვინოდ

ჩიტი იჯდა ღობეზედ (ღობესა-ზედა)

ივინი საუბრობდნენ მამასთან (მამასა-თანა)

„მიჭერენ მცირე მახითა, მიტყუებენ-რა ხორბლის მარცვლითა“.

დამატებად შეიძლება იყოს:

ა) სახელზმნა, მაგალ.,

მას უნდა სწავლა

მას სურს ღმერთობა

მას უყვარს პარპაშობა, კოხტაობა.

ბ) ნატერითი დახრის ფორმა:

მწალიან მოგისმინო=მწალიან შენი მოსმენა

მწალიან დავაგვირგვინო ეს საქმე=მწალიან ამ საქმის და-
გვირგვინება

მას არ სურს მოგისმინო=მას არ სურს შენი მოსმენა.

§ 6. განმარტება.

განმარტებითი სიტყვა ხსნის ქვემდებარეს და დამატებით
სიტყვებს. იგი გამოიცნობის კითხვით ორგარი? ვისი? რას?
რომელი? რამდენი? შერაშედენე? ოდანინდელი? სადაური?

შთელი ქვეყანა ერთი შევნიერი წალკოტია.

მამის ძედ იყო თამარ წენარი, პირმცინარი, ხმინარნაჲი.

მისი ლამაზი ცხენი ითხოვა ჩემმა უფროსიმა ძმამ.

საქართველოს პირველი მეცე ფარნავაზია

უწინდელ დროის ამბავი მოთხრობილია „ქართლის ცხოვ-
რებაში“.

Genitivus possessivus: მისის სიტყვისა მე არა მჯერა-რა.

მან იყიდა ოქროს საათი.

მოწაფის საქმე სწავლაა.

Genitivus partitivus: ერთშა შათგანმა გაიტაცა უშვენიე-
რესი ქალთაგანი. წინაპართაგან ხშირად ვიხსენიებთ ამირანისთანა
გმირებს. მის ნატევამიღვან დავიხსოვნე ერთადერთი სიტყვა-
თაგანი.

Appositum (მისამატი): აკაკი, ქართველთა მგზავნი, უყ-
ვარს ყველას. შოთა, „ვეფხისტყაოსნის“ დამწერი, იყო უდი-
დებულესი მგლისანი. ნინო, ქართველთა განმანათლებელი, ალე-
რულა ბოდბეში. სირნი, ანუ ჩიტნი, ფრინველნია.

ჩასართავი (სიტყვა ანუ წინადადება): ფარნავაზმა, რო-
გორც სწერს ქართლისცხოვრება, მოიგონა ქართული ანბანი.
მიტრიდატ დიდი, როგორც მოგვითხრობენ ისტორიკოსნი,
ეომებოდა რომაელებს.

სხეის სიტყვა (წინადაღებაში ჩართული სხვათა სიტყვა ანუ ნათქვამი): „ხმალს ხელი!“ დაიძახა ერეკლემ და მიუხტა მტერს. „შეჩერდით!“ გვიპრძანა ჩვენშა წინამძღოლმა.

ამირანშა სთქვა: „ათი დევი მოვკალ“.

ამხანაგმა უთხრა ამხანაგს: „ამხანაგო! იყავ მანდა, მომი-
ცლიდე. წავალ თოკთა მოსახმელად, მწადსო, თუცა ამოგ-
ზიდე“. მან შემოჰყივლა: „არ გელოდე, სად გაგექცე, სად
წავიდე!“

§ 7. გარემოებანი.

გარემოებითი სიტყვა გვიჩვენებს, რა გარემოებასა თუ
მდგომარეობაშია რომელიმე საგანი. სუთნაირია გარემოება:
დროის, ადგილის, ვითარების, მიზნის და მიზნის.

1. **დროს გარემოება** გამოიცნობის კითხვით როდის?
რაშედესანის? როდემდას? რადრო დის? რა დროდგან? დროს გარე-
მოებად არას ხოლმე.

ა) **ზმისზედა:** შარშან სოფელში ვიცხოვრეთ, წლეულს კი
ქალაქში დავრჩით. გუშინ ბევრი საქმე გავაკეთე, ღღეს კი ვსწავ-
ლობთ. სვალ, ზეგ ან მაზეგ დედას ვნახავთ.

ბ) **არსებითი სახელი:** დღისით და დაშით მოყმენი ნობა-
თსა არ დასცდებიან. მერქალი ზამთარშა უცხოური, ზაფ-
ხელშია აქაური. სალამოს მოვა. საფაზ-სადამობით გვეწვეოდა
ხოლმე. სადამობით ვისვენებდით. დილითგან სალამომდის ვმუ-
შაობდით.

2. **ადგილის გარემოება** გამოიცნობის კითხვით სად?
საიდგნები? საით? საიდამ? ადგილის გარემოებად არის

ა) **ზმისზედა:** მელია იქ მიუუნცულდა, სადაც მამალი
ჯდებაო. წიგნი მანდ იყო, კალამი—აქ.

ბ) **არსებითი სახელი:** მივდივარ ქალაქს. მიღის მინდ-
ვრად. წავედით პაპანთსა. მივიდა მამისას. მიღის ტყისკენ. მო-
დის ტყიდამ.

3. ვითარების გარემოება გამოიცნობის კითხვით როგორ?

იგი არის

ა) ზმინისზედა: მეტყობენდ გამოსთქვი სიტუაცია სუფთად სწერს. მზემ ამოაშეუქა დიდებულადა. თუ თავი შენი შენ გახლავს, ცუდად არ იხსენიები. მერცხალმა პატიში ცელქად შეინავარდა. ჩელანელა გამოიშალა ხალხი. ფაშიციშ ასწიეს. ნება მოდი!

ბ) ხახელი არსებითი: ყმაწვილი სწერს მამისებრ = ამა-სავით. ეს ბიჭი წეალიერით კითხულობს; ჯახლახით მოდის. ურკმიდ ღრიშინით მოდის. ველზედ ჩამორჩოდა მთის წყარი საამორ რაკ-რაკით სწავლობდა ვანო შეტის სალისით; იგი მოდიოდა ბაჯა ჯით. ძირით თხუნელამ არწივს შესძახა შებრალებითა. მონაცი-რე შთააშეთა მიღიოდა. ადმისრთ-ადმისრთ მივდიოდე მე ნეტა! ხტომ-ხტომმიდიოდა პატარა ბიჭი.

გ) ზედშესრული. „ხან ზედ დაპკვნესა საწეალად“. ბედმა დამსაჯა შწეალად“.

დ) ზმინისზედათი, კითხვაზე როგორ? რაოდნად? რეშდენ-რამდენ? ბლობად ილაპარაკეს. სამსამად გაიყვეს. წევიღ-წევიღ შეაბეს ხარები. ათასად გვარი დაფასდა, ათათასად ზრდილობა. ყმაწვილი მოვიდა სწრაფად.

4. შიზეზის გარემოება გამოიცნობის კითხვით რატოში? რამაზეზით? რისგამო? იგი არის:

ა) კითხვითი ზმინისზედა რატოში, რა მიზეზით? რატოშ არ მოხველ ჩვენსა? რა მიზეზით გუშინ დარჩი შინ?

ე) ხახელი არსებითი: იმის ცოდვით მთლად ვიწოდი. სკოლაში ვერ მოველ აფაღმუქფიბისაგამო. შაშისაგან (=შიშით, შიშისგამო) გადირია. უსაქმურობის გამო მუშა ხალხი შეწუხდა.

5. მიზნის გარემოება გამოიცნობის კითხვით რისხვას? რად? იგი არის:

ა) ზმინისზედა რისთვის: რისთვის დგეხარ?

ბ) გერუნდივი ზმინისზედით ბრუნვაში: სოფელში წაველით

დასასეგენებლად. მიედივარ სანუკეარადა წმ. ედემის ბალშია. ივ-
თანდილმა გადინალირა ირმის მოსაკლაფად. ვწევები დასაძინებლად.
სახლს იშენებენ თავსაფარად.

§ 8. მიმართვა (წოდებითი სიტყვა).

მიმართვითი სიტყვა დაისმის წოდებით ბრუნვაში, მარტი-
ვად (ცალკე) ანუ თვისის განმამარტებელით. მაგალ.,

თავო ჩემო! ბედი არ გიწერია.

ჰოი ნაპირნო, არაგვისპირნო,

მობიბინენო, შვებით მომზირნო!

ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,

ოდეს შვენება თქვენი იხილოს.

ვინ იტყვის, შტეკარო, რას ბუტბუტებ,

ვისთვის რას იტყვი?

მალალო ლმერთო, ხმელთა და ცათაო,

ზოგჯერ მომცემო პატიუთა,

ზოგჯერ კეთილთა მზათაო...

ვად, სოფელთ, რასშიგან ხარ,

რას გვაბრუნებ, რა ზნესა გჭირსა!

აწ, დათ, შენსა ხელსაა ჩემი საძელი ყელისა.

სინტაქსი რთულ წინადადებისა.

§ 9. მთავარი და დამოკიდებული წინადადებები.

რთულს წინადადებაში ერთი მთავარი წინადადებაა და
ერთი ან რამდენიმე დამოკიდებული.

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი შევდირსა ემსგავსოს“.

ამ ორ წინადადებათაგან პირველი—არც კაცი ვარგა—
არის მთავარი წინადადება და მისი აზრი თავისთავად გასა-
გებია, მეორე—რომ ცოცხალი შევდირსა ემსგავსოს—დამო-
კიდებული წინადადებაა, მისი აზრი ცალკე გასაგები არ არის,
მთავარი წინადადებაზეა დამოკიდებული.

დამოკიდებული წინადადება იმდენია, რამდენი ნაწილიცა
აქვს მარტივ წინადადებას, ე. ი. შვიდი.

შეადარე:

მარტივი წინად. ნაწილები

- ა. განმარტება
- ბ. დამატება
- გარემოებანი
- გ. დროის
- დ. ადგილის
- ე. ვითარების
- ვ. მიზეზის
- ზ. მიზნის

დამოკიდებ. წინადადებანი:

- განმარტებითი
- დამატებითი
- გარემოებითნი:
- დროის
- ადგილის
- ვითარების
- მიზეზის
- მიზნის.

§ 10. დამოკიდებ. განმარტებითი წინადადება.

განმარტებითი წინადადება პხსნის მთავარ წინადადების რომელიმე სიტყვას და მასთან შესაკვშირებლად ხმარობს სიტყვებს: რომელი? ვინც? როგორი? ვინ? რა? ვისი? რა და რან? ამ სიტყვებს უმთავრესს წინადადებაში ყოველთვის ეპირისპირებიან: იგი, ასეთი, ისეთი, იმდენი. მაგალ.,

(მთავ. წ.)

(განმარტ.)

კარგი მიჯნური იგია ვინც იქმს სოფლისა თმობასა იმან იმხიარულოს დღეს, ვისაც უმუშავნია გუშინ იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია ნერა ის არ მოსულიყო, ვინც მოვიდა.

ნერა ის არ მეთქვა, რაცა ვთქვი.

იმჯენი იკოცხლეთ, რამდენიც გესურვებოდეთ.

ამირანი ისეთი კაცი იყო, როგორიც ეხლა აღარ არის

ის კაცი მოვიდა, რომელიც გუშინ ვნახე

მე ველირსები, იმასაც, რასაც შენ ეღირსე

მოგიტანე ის, რაც შენ გინდოდა.

უმთავრეს და დამოკიდებულ წინადადებებში ნაცვალსახელი ხშირად გამოიტოვება:

მწერალი, რომელიც გვახარებდა, მოჰკლეს=ის მწერალი მოჰკლეს, რომელიც... მოშაირე არა პქვიან, ვერას იტყვის

ვინცა გრძელად=იმას მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის
ვინცა გრძელად. ვინც ჭამა ქათმის გული, მან, ვერ მოიგო
კაცის გული (ანდ.).

განმარტებითი წინადადება ხშირად ნაცვალსახელის მაგი-
ერ იწყება ზმისზედით სად, საიდგან, სიით, როგორც, ვით:
ის არის ჩემი სამშობლო, საცა ვშობილვარ, გავზრდილვარ =
ის არის ჩემი სამშობლო, რომელშიაც

ის დღე გვახარებს, როდესაც ვსაქმობთ=ის დღე გვახა-
რებს, რომელსაც.. .

იმ ქვეყნიდგან ვართ, საიდგანაც (=რომელიდგანაც) მოტა-
ნილია ეს ლვინო.

ეს ისეთი კაცია, როგორც (=როგორიც) მრავალი სხვა.

ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა.

§ 11. დამოკიდებ. დამატებითი წინადადება.

დამატებითი წინადადება პესნის მთავარ წინადადების შე-
სმენილს, გამოიცნობის კითხვით რა? და ექვემდებარება მთა-
ვარ წინადადებას კავშირით რომ, რომელ, რომე, თითქო, ვითომ.
შემცალინეობ, რომ სარგებლობა მოვურანო ქვეყანას.

მითხრეს, ვითომ აქ ბევრჯელ ყოფილხარ.

ყველამ იცის, რომ საქართველო მშენიერი ქვეყანაა.

წესია, რომ (=რომე, რომელ) მიჯნური მიჯნურმა შე-
იბრალოს

ეს ნუგეშს მცემს, საყვარელო, რომე არის სხვა სოფელი.
(ბარათ.).

შენ გგონია, თითქო მე შენი სიკეთე არ მახარებდეს.

შენი შენა: შემაერთებელი კავშირები ხშირად გამოიტო-
ვება, მაგალ..

წესია, მიჯნური მიჯნურმა შეიბრალოს.

იტყვიან, (რომ) ამირანი აბიათ კავკასიონის მწვერვალზე.

შემოგვითვალეს, (რომე) ისწავლეთო

გვაცნობეს, (რომელ) მოვალთო ხვალ.

მეცალინეობენ, (რომ) გამდითჩდნენ.

შეადარე: ვფიქრობდი, რომ გნახავდი შენ = ვფიქრობდი შენს ნახვას.

გვპირდებოდნენ, რომ აგვაყვავებლნენ = გვპირდებოდნენ ჩვენს აყვავებას

გნახე, რომ ძმა მოვიდა = ვნახე ძმის მოსვლა.

ვნახე, რომ ვიღუპებოჲით = ვნახე ჩვენი დაღუპვა

ვტან, რომ იგი წერილს სწერდა = ვტან მის მიერ წერილის წერა.

§ 12. ლამოკიდ. დროს გარემოებითი წინადადება.

დროს გარემოებითი წინადადება გამოიცნობის კითხვით რთდის? დაქ? რა დროს? რახან? რა დროდგან? რადრომდის? სანამდის? და კავშირებით რთვეს (ოდეს, როცა, როდესაც, ოდესცა), ვიღუ, სანამ, რომ. ექვემდებარება მთავარ წინადადებას, რომელიც იწყების კავშირებით შანაშ, შაშინ, მანამდის, იმ დრომდის. ეს კავშირები ხშირად გამოიტოვებიან. მაგალითები:

ოდეს ტურფა გაიეფდება, შაშინ ალარა ლირს არცა ჩირად = ოდეს ტურფა გაიეფდეს, ალარ ლირდეს არცა ჩირად.

ვიღუ თქვენ სეირნობდით, (მანამ) ჩვენ ბევრი საქმე გავაკეთეთ.

სანამ სეირნობდით, (მანამ) აქ გიცდიდით.

ვიდრე (=სანამ) პეტრე მოვიდა, (მანამ) პავლეს ტყავი გააძრეს.

იქნობამდის ვწერ, სანამ არ დავიღლები

მანამდის აქ ვიქნები, სანშ შენ არ მოხვალ.

შენ რომ მოხვალ, შაშინ მე აქ ალარ ვიქნები.

შუალამე რომ შეიქმნა, შაშინ მე აქ ალარ ვიქნები.

შუალამე რომ შეიქმნა, შაშინ ავუბი თვალები.

შეადარე:

როდესაც ყურძენი დამწიფდება, (მაშინ) მოვალ სოფ-

ლად=ყურძენი რომ დამწიფდება, (მაშინ) მოვალ სოფლად=ყურძენი დამწიფდება-რა, (მიშინ) მოვალ სოფლად.

როდესაც ვსწავლობდი, (მაშინ) ბევრი გაჭირება გამოვიარე=არე=ართ ვსწავლობდი, (მაშინ) ბევრი გაჭირება გამოვიარე=ვსწავლობდი-რა, (მაშინ) ბევრი გაჭირება გამოვიარე.

როდესაც ჭირი იყო, ბევრი ხალხი დაიხოცა=ჭირი რომ იყო, ბევრი ხალხი დაიხოცა=ჭირი იყო-რა, ბევრი ხალხი და-იხოცა.

მივიღა-რა შინ, დაისვენა=როდესაც შინ მივიღა, (მაშინ) დაისვენა.

ისწავლა-რა, გაბეღნიერდა=როდესაც ისწავლა, (მაშინ) გაბეღნიერდა.

მორავიდოდა, იხილა კაცი ვინზე=როდესაც მოდიოდა, მაშინ იხილა...

მოხოლორაიხუნეს საწერელნი, იწყეს წერად=ტოლო რო-დესაც მოიტანეს (=მოიხუნეს) საწერელნი, მაშინ დაიწყეს წერა.

გამოვიდნენ-რა
რომ გამოვიდნენ
ოდეს გამოვიდნენ

გაჭირვებიღამ	მაშინ
მასეუგან	იწყეს სიხარული
მასშერშე	

ქუაისიღამ (=ქუთაისითგან) წამოსვლისას (როდის?) მა-მას დაავიწყდა მოეტანა იქაურა ხილი=ქუთაისიღამ მოდიო-და-რა, მამას დაავიწყდა... მინდორს წასვლისას (როდის?) მა-მამ წაგვიყვანა ჩვენც.

მინდვრით მოდიოდა-რა, შეხვდა მდინარე=როდესაც მინ-დვრით მოდიოდა...

იმათგან რომ მოედიოდი, მიხაროდა (როდის მიხაროდა?) მივუახლოვდით-რა ქართლს, გაგვიხარდა=რომ მივუახ-ლოვდით ქართლს, გაგვიხარდა (როდის გაგვიხარდა?)

§ 14. დამოკიდ. ადგილის გარემოებითი წინადადება.

ადგილის გარემოებითი წინადადება სსნის მთავარ წინა-დადების შესმენილს, გამოიცნობის კითხვით სად? საადაშ? სა-

იო? სადამდის? და კავშირებით სად, საიდამ, საით ექვემდებარება მთავარ წინადადებას, რომელიც იწყების სიტყვებით იჭ, აქმდამ, იქით. — მაგალითები:

წავალ (იქ), სადაც სიღარიბეს ბოროტებად არა სთვლიან მდინარე გატოპა იქ, საცა ცველაზე ღრმა იყო.

იქიდგნ (იქიდამ) მოდის მტერი, სადგანაც (საიდამაც) არ მოველით.

იქითკენ მივდივარ, საითკენაც შენ გაგენადირნა.

იქამდის მივაღწიეთ, სადამდისაც შენ გევლო.

სად ორბნი ბუდობენ, იქ მაღალნი კლდენია.

§15 დამოკიდ. ვითარებითი წინადადება.

დამოკიდ. ვითარებითი წინადადება ხსნის მთავარ წინადადების შესმენილს, გამოიცნობის კითხვით როგორ? ვითარ? რას გვარ? (=რავარ? როგო!), რანაირად? (=რანაირ?), რაფერ? და იწყება კავშირათ როგორც, რომ, როგორც რომ. მაგალითები.

ისე მითრინავს, როგორც შურდული=მითრინავს შურდულივით.

ისე ჰეითხულობს, როგორც დიაკვანი=ჰეითხულობს დიაკვანივით.

ისე ჰოისწრაფის, როგორცრომ ელვა=მოისწრაფვის ელვასავით.

ისე მოშხუის, როგორცრომ გრიგალი=მოშხუის გრიგალივით.

ისე მოვრბოდი, რომ კინალამ არ წავიქეცი.

ბაყბაყ დევი (ისე) მოდიოდა, (რომ) დედამიწას ზანზარი გაჟეონდა.

ვითარებითი წინადადება შედარებითი:

მე დიდი ვიყავ, ვიღრე შენ=მე შენზე დიდი ვიყავ.

იმას მეტი მიუცია, ვიღრე მე=იმას ჩემზე მეტი მიუცია.

იმან უკეთესად გააკეთა, ვიდრე ჩვენ=იმან ჩვენზე უკე-
თესად გააკეთა.

ის წინ იყო, ეიდრე შენ=ის შენზე წინ იყო.

ის უფრო ბეჯითი იყო, ვიდრე შენ=ის შენზე უფრო
ბეჯითი იყო.

იმას იმდენი ემუშავნა, რამდენიც შენ=იმას შენოდენი
ემუშავნა.

იმას იმდენი ეშრომნა, რომ დალლილიყო.

იგი კითხულობდა წიგნს; მჯდომარე სკამზე:

ბაყბაყ დევი მოდიოდა—დედამიწას ზანზარი გაჰქონდა
(როგორ მოდიოდა ბაყბაყ დევი? ისე, რომ დედამიწას ზანზა-
რი გაჰქონდა).

§ 16. დამოკიდ. მიზეზის გარემოებითი წინადადება.

მიზეზის გარემოებითი წინადადება ხსნის მთავარ წინადა-
დების ზმნას, გამოიცნობის კითხვით რატოში? რისგამო? რა შა-
ზეზით? და მთავარ წინადადებას ექვემდებარება კავშირებით
რაღაც, გნათვან, რომ. მაგალითები:

დღეს გაკვეთილი არ ვიცი, რადგან გუშინ ავალვიყავ
ეს უბედურება იმიტაზ შეგვემთხვეა, რომ არ გავფრთხილ-
დით.

გენდობი, ვინათვან კარგ კაცად გიცნობ.

მისგამო ვართ უძლურნი, რომ ერთობა არა გვაქვს.

მოვალ თქვენსა, რადგნ თქვენთან ლაპარაკი მიყვარს.

ვერ მოვალ თქვენსა, რადგან არა მცალოდა=მოუკლე-
ლობისგამო ვერ მოვალ თქვენსა.

წავიდა იმერეთს, რადგან იქ ცხოვრება მოინდომა=წავი-
და იმერეთს იქ ცხოვრების მონდომებისგამო.—სახლი ვერ
ავიშენ იმისგამო, რომ მარტო ხელი ვიყავ.

§ 17. დამოკიდ. მიზნის გარემოებითი წინადადება.

მიზნის გარემოებითი წინადადება ხსნის მთავარ წინადა-

დების ზმნას, გამოიცნობის კითხვით რისთვის? რად? და ექვე-
მდებარება მთავარ წინადადებას კავშირებით რათა, რომ. მა-
გალითები:

მისთვის მიმაბარეს სკოლაში, რომ ეისწავლო
მად ვართ კაცად შექმნილნი, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი.
მთაზედ ავიდა, რომ დაათვალიეროს არემარე
რომ სიმართლე გამეგო, გავარჩიო ეს საქმე=სიმართლის
გაგებისთვის გავარჩიო ეს საქმე=სიმართლის გასაგებად გავარ-
ჩიო ეს საქმე.

მოვიწვიეთ სანდო კაცნი, რათა ყველა დაჯერებულიყო=
ყველას დასაჯერებლად მოვიწვიეთ სანდო კაცნი.

მოველ თქვენსა, რომ გაცნობო ეს სასიხარულო ამბავი=
ამ სასიხარულო ამბავის საცნობებლად მოველ მე თქვენსა.

მოდი, რომ გაიხარო.—მოვიდა, რომ ილხინოს.

შენი შენი. დამოკალებულ წინადადებების ნაირია აგრე-
თვე წინადადებანი პირობითნი და დათმობითნი.

§ 18. პირობითი წინადადება.

პირობითი წინადადება გვიჩვენებს პირობას და იწყების
კავშირით თუ, თუმცი, თუდა.

თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენიები.

თუ ლხინი გვინდა, ღვთისაგან ჭირნისა შევიწყნაროთა

თუ უვავი ვარდა იშოვნის, თავი ბულბული ჰეონრა

თუდა დავრჩე, გმსახურებდე, შენდა შსხვერპლსა შევწირვიდე:

ალთქმას აგისრულებდი იმ შემთხვევაში, თუ პირიანი კა-

ცი ყოფილიყავ.

წამსვე გნახავდი, თუ შენი წერილი მიმელო.

§ 19. წინადადება დათმობითი.

დათმობითი წანადადება იწყება კავშირით თუკა, თუ.

თუმცა ძლიერი კაცი ხარ, მაგრამ ვერ დაგემორჩილები.
თუმცა ჩემზე ნაკლები არ იცი, გარნა ვერ გიჯერებ

ერეკლემ, თუმცა ვერ დასძლია სპარსნი, გარნა შეასუსტა მათი ძალა.

რაც უნდა ძნელი იყოს ეგ საქმე, მაინც უნდა შევასრულოთ.

თუმც შენ სუსტი ხარ, მაინც მე მაჯობებ.

§ 20. სასცენი ნიშნები.

ძველს ნაწერებში ყოველი სიტყვის (ან წინადადების) შემდეგ დაისმის თითო, ოროლი თუ სამსამი წერტილი; ტავის ბოლოს ხშირად ჩნდება ჯვეფი სამსამ, ოთხოთხ წერტილებისა. ზოგიერთ ხელნაწერში შევხვდებით აგრეთვე მძიმეს (,), მახვილს (‘), კითხვით ნიშანს (?) სიტყვათა გადასაბამს ანუ შემაერთებელ ხაზს, ქარაგმას (‘).

ა. მძიმე (,)

მძიმე ჰყოფს ერთმანეთისაგან რამდენიმე ქვემდებარეს ანუ შესმენილს, თუ შეერთებულნი არ არიან კავშირებით და, ანუ, და ვაშინაც: თუ ეს კავშირები გამეორებულია რამდენიმეჯერ. მაგალ..,

დედა, მამა, დები და ძმები ვსადილობდით ერთად.

მამა გვაკითხებდა, გვაწერინებდა და გვიხსნიდა.

მოვა ანუ მამა, ანუ დედა, ანუ ჩემი ძმა.

მამა და დედა, დები და ძმანი სწერენ.

მამაცა, დედაცა, დებიცა და ძმებიც სწერენ.

მძიმეთი გამოიყოფება შიშიროვა, შისრიმატა, მაგალ.

აქ მოდი, პეტრე!—წერილი, არჩილ, სუფთად დაწერე! მამა ჩემი, სოფლელი გლეხი, კეთილი კაცი იყო.—თამარ მეფე, როგორც სწერენ მემატიანები, ღიღი ხელმწიფე იყო.

მძიმეთი გამოიყოფება დასამატი წინადადება, თუ მთავარ წინადადების ნაწილებ შორის ჩართულია. მაგალ., წმ. ნინო, რომელმაც ქრისტიანობა მოჰვე ნა საქართველოს, გარდაიცვალა 14 იანვარს 338 წელს;

მძიმე აცალკევებს ყოველს დამოკიდებულს წინადადებას
უმთავრესისაგან:

იქ იყო, საცა გუშინ ვნახე.

მოვიდა ის, ვისაც მოველოდით.

მძიმე დაისმის კავშირების მაგრამ, (=მარამ), კარსა, არა-
ჟედ, რომ და სხ. წინ მაშინ, როდესაც მიპყვებიან მთავარ წი-
ნადადებას.

გეწვეოდი, მავრამ არა მცალიან.

ბ) წერტილ-მძიმე (:) დაისმის მაშინ, როდესაც პირველ
წინადადებით აზრი საკმაოდ არ სრულდება.

ორნი კაცნი მოდიოდეს,

სადაურნი სადმე გზასა:

უკანამან წინა ნახა

ჩავარდნილი შიგან ჭასა;

ზედ მიაღვი, ჩაჰყიოდა,

სტირს, იძახის ვაგლახ-ვასა (რუსთ.)

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა

გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;

მისგან ყოველი გასწორდეს,

სუსტი და ძალგულოვანი;

ბოლოდ შეჰყარნეს მიწამან

ერთგან მოყმე და მხცოვანი (რუსთ.)

გ) ორ-წერტილი (:) დაისმის:

საენის განაწილებაში, მაგალ., დავინახეთ ქალაქი: ტაძრები,
სახლები, ბაღები.

ბ) ჩამოთვლაში, მაგალ., მოვედით ოთხნი: მე, ჩემი ძმა, ჩემი
და და ბიძაშვილი.

გ) მიზეზის საჩვენებლად, მაგალ., არა მაცეიარა: დარიბი ვარ.

დ) სხვის სიტყვის წინ: ტყემალმა სთქვა: „მოვალ პირველად;
მე ვერა მისწრობს ხილია“. —ვარდსა ჰყითხეს: „ეგზომ ტურ-
ფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?“

დ) წერტილი (.) დაისმის სრულ წინადადებათა შორის.

თუ წინადადებანი შეიტავენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელს აზრს, მაშინ მათ შორის, წერტილს გარდა, დაისმის ხა. ზიც (.-).

ყმაწვილები წავიღნენ სკოლაში. მივიღნენ-რა, დაიწყეს სწავლა. შუადლისას ისევ შინ დაბრუნდნენ.

ჩიტი ფრინავს. — ბუზი ბზუის. — ყმაწვილი სწავლობს. — ამირანი გულში მღეროდა: „ყმანო, ბანი მითხარითო“. — იყო არაბეთს როსტევან.

ე) **განკვირვებითი ნიშანი** (!) დაისმის:

ა) მოწოდებითი სიტყვის შემდეგ: ლევან! მოდი.

ბ) მიმართვაში: წინ წალექია!

გ) შორისდებულში: ახ! ვამე! უიმე!

ვ) **კითხვითი ნიშანი** (?) დაისმის შეკითხვაში: რას ამ-ბობ? ეგ ვინ არის?

ზ) **წინწკლები** („“) შემოესმის სხვის სიტყვას. უეს სა-ქართველოა!“ ამბობდა ყოველი კაცი.

ი) **ბრჭყალებში** (()) ჩაისმის დასამატი სიტყვა ანუ წინადადება. იგი უმთავრეს წინადადებისაგან გამოიყოფება აგ-რეთვე მძიმეთი, ანუ ხაზით (—). მაგალ., მკელობელი (კო-კლი) კაცი მოდიოდა.

თ) **ორი ხაზი** (==) ნიშნავს თანასწორობას. მკელობე-ლი(=კოქლი კაცი) მოდიოდა.

ი) **მრავალწერტილნი** (...) დაისმის მაშინ, როდესაც აზ-რი დამთავრებული არ არის, ან როდესაც საჭიროა, —აზრს მეტი სიმტკიცე მიეცეს!

უნდა დამეწერა, მაგრამ... ბურთი ჩამჩარეს პირში!

საწერლად ჰქონდა არა მელანი, არამედ... სისხლი.

I. პერიოდი.

პერიოდი — ბერძნული სიტყვაა (პერი—გარეშემო, გარემო, გარს, თდოს—გზა) და ნიშნავს წრეს, გარემოელას, გარემო-სვლას, შემოფარგვლას.

პერიოდად იწოდება აზრის შემოფარგვლა, აზრის გამოთქმა აღზევებით, ენა-შეებით და მორკმულად. პერიოდი იგივე ნაკვთია უბნობისა, ნაწერისა, სიტყვისა.

საუბრის, ლაპარაკის, ნაწერის თითოეული ნაკვთი (პერიოდი) შეიცავს ერთს დამთავრებულს აზრს, გამოთქმულს ვრცელ, რთულ და მორკმულ წინადადებით (ანუ წინადადებებით). მიზანი ამგვარ ხელოვნურ, აღზევებულ ენით საუბრისა თუ წერისა ის არის, რომ აზრს მიეცეს უმაღლესი სიმწყობრე შინაგანი და უმაღლესი განვითარება გარეგანი, რათა ამგვარ მწყობრ და მკობილსიტყვაობა? სასურველი შთაბეჭდილება მოახდინს მსმენელის ანუ მკითხველის გონებასა, გრძნობასა და ყურთასმენაზე.

კაცს შეუძლიან აზრი გამოსთქვას ა) ნაკვთნაკვთად, შემოფარგვლით, პერიოდულად და ბ) ნაწყვეტნაწყვეტ, მარტივად, ე. ი. ცალკცალკე, დამოუკიდებელ, მოკლე თუ ვრცელ წინადადებებით. მარტივი სიტყვა აღვილად გაირჩევა პერიოდულისაგან. შეადარე:

მარტივი სიტყვა

ჩემი სამშობლო.

მე დავიბადე ხეესურეთში
აქვე გავიზარდე, ვისროლე ისაზი
აქვე მუავს დედმამა. აქვე არის

პერიოდი

(მკობილსიტყვაობა)

სამშობლო ხეესურისა.

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ,
და მისროლია ისარი.
სად მამა-პაპა შეგულების,

ჩეენი სამარხავი. ხევსურეთი
ჩემი სამშობლა. აქაურს
ჩეეულებაზე ვარ აღწდილი...

იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ვჩეველვარ, —
ჩემი სამშობლო ის არი.
(რ. ერისთ.).

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არ წიგნი ვერ შექცებიან,
სად წვიმა, თოვლი, ყინულად ქმნილი,
მზისგან აროდეს არა დნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდრობას
კაცთ ურიამული ვერ შესწევენია,
სად მეუფება პეტა, კუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ შოენია,—
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბავთ მუნ მონასტერები.

(ილ. ჭავ.)

პერიოდის სახეობანი. პერიოდის (ნაკეთს) აქვთ ორი სახე: ა) შარტივი და ბ) რთული.

შარტივი პერიოდი იყოფება ორ ნაწილად, რომელთა-
გან ერთი შეაღების დათვისეურ ჭვემდებარებს და მეორე — დათვის
გურ შესმენილს. მაგალითები:

1. **შოთა რუსთაველი,** რომელმაც თავის ნიჭით განა-
ბრწყინა ქართული ენა და ასახელა ქართველები, კარდაცხალა,
როგორც გვაუწყებს გარდმოცემა, იერუსალიმში.

ამ მარტივ პერიოდის

თემა: შ. რუსთაველი გარდაიცვალა იერუსალიმში.

ლოლიკური ქვემდებარე: შ. რუსთაველი, რომელმაც
თავის ნიჭით განაბრწყინა ქარ-
თული ენა და ასახელა ქარ-
თველები.

ლოლიკური შესმენილი: გარდაიცვალა, როგორც გვა-
უწყებს გადმოცემა, იერუსა-
ლიმში.

2. მეფე ვახტანგ გორგასალმა, თვისის ნადირობის დროს
531 წელს, მოიწონაარა აწინდელ ტფილისის ადგილ-მდება-

რეობა, მისის სიმაგრის გამო, აქაური თბილი გოგირდიანი წყლები (აბანოები), მათ სამკურნალო მნიშვნელობის გამო, დააარსა ახალი სატახტო ქალაქი ტფილისი

განვითარება მარტივ წინადადებისა (თემისა): „მეფე ვახტანგ გორგასალმა დააარსა ტფილისი“:

ვინ? მეფე ვ. გორგასალმა?

რა? დააარსა ტფილისი, ახალი სატახტო ქალაქი

სად? მდ. მტკვრის ორსავ ნაპირზე.

როდის? 531 წელს, თვისის ნადირობის ქამს.

რათ? მოიწონა-რა აწინდელ ტფილისის ადგილმდებარეობა მისის სიმაგრისგამო; აქაური წყლები (აბანოები) მათ სამკურნალო მნიშვნელობისგამო.

რთული პერიოდი არის განმარტება თემისა ორის ან მეტას ურთიერთზე დამოკიდებულ აზრის შემწეობით. მაგალ.

1. სწავლა, რამელსაც ელტვის ყოველი აღამიანი, აბედნიერებს კაცს, ვინაითგან იგი აძლევს მას სახსარს უკეთესად მოაწყოს თვისი ცხოვრება.

ამ წინადადების

თემა: რად აბედნიერებს კაცს სწავლა?

აზრები: ა) სწავლა აბედნიერებს კაცს

ბ) იგი აძლევს მას სახსარს უკეთესად მოაწყოს თვისი ცხოვრება.

დამკ. წინადადება — რომელსაც ელტვის უოგელი ადამიანი შეადგენს პირველი წინადადების განმარტებას.

2. **თემა:** რათ უყვარს კაცს თავისი სამშობლო?

განვითარება ამ თემისა: კაცს, ვინც უნდა იყოს იგი, გლახავი თუ მდიდარი, რაც უნდა ღარიბი ნათესაობა ჰყანა-დეს, რაც უნდა მწირი იყოს მისი ქვეყანა, მანც უკვანს თვისი სამშობლო, ის ადგილი, საცა ჰმარხიან მისნი წინაპარი, || ვინაითგან იგი თვითონაც იქვე შობილი, იქვე ტოლამხანაგებ-ში გაზღილა და დავაშეკაცებულა, მამის კერის პირას ულხენია თავის თუ თავის და-ძმების ქორწილში, აქვე დაუზრდია

თავისი შეილები, და სწამს, რომ თუ აქვე გარდაიცვალა და დაიმარხა, საუკუნოდ განისვენებს თავის წინაპართა საფლავებ შორის.

პერიოდის ნაწილები. პერიოდს (ნაკვთს), რამდენ წინა-დაღებისაგანაც უნდა იყოს შემდგარი, აქვს ორი უმთავრესი ნა-წილი, რომელთაგან ერთი შეიცავს დასამტკიცებულ ანუ ასახ-სნელ (განსამარტებელ) აზრებს, მეორე—დასამტკიცებულს და ამსნელებს (განმარტებელებს). იმ ნაწილს, რომელსაც ნაკვ-თში პირველი ადგილი უკავია, ეწოდება ადზება, ამაღლება, აწევა (protasis), იმას კი, რომელსაც მეორე ადგილი—დადაბ-ლება, დაწევა (apodosis). ეს აწევ-დაწევა შეიქმნა იმ აზრთა და სიტყვათა წრეს (შემოფარგლულობას, ფარგალს), რომელსაც, როგორც უკვე ვთქვით, ბერძნულებრ ეწოდება პერიოდი და რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ნაკვთს (კვეთა—მოკრა, მოკვეთა, ნაკვეთი—კვეთილი, ნაკვთი—ნაკერი). ნაკვთი (საუბარში, ლაპარაკში, წერაში)—პერიოდი.

პერიოდის აწევაცა და დაწევაც შეიცავენ თითოს ან რამ-დენ-რამდენიმე წევრებს ანუ წინადაღებათ. უწინ თთხს წევრს სთვლილნენ პერიოდის საშუალო რიცხვად.

პერიოდი, რომელსაც შეადგენს ორი წევრი (წინადაღე-ბა), იწოდება ორწევროვნება, რომელსაც შეადგენს სამი წევრი, —სამწევროვნება, რომელსაც შეადგენს ოთხი ან მეტი, —შრა-ლა-წევროვნება.

აზრის შემოსაფარგლად და გამოსასკნელად საჭიროა, რომ პერიოდს ჰქონდეს მტკიცე ერთობა, ე. ი. შის შემადგე-ნელს კერძო აზრებს ჰქონდეთ შინაგანი კავშირი უმთავრეს აზრთან, მასთან ერთად შეადგენდენ ერთს მთლიანობას, მისი ნაწილები დალაგდეს ისე, რომ უმთავრეს აზრებმა დაიკირონ უფრო თვალსაჩინო ადგილი და ერთმანეთს მიჰყვნენ თვისის მეტ ნაკლებ მნიშვნელობისა-და-გვარად; პერიოდის კილო თან-დათან უნდა ილიწეოდეს უმწვერვალესობამდე და დასრულდეს

რომელიმე მაღალფარდოვან და კეთილხმოვან სიტყვით, დიდ-შნიშვნელოვან აზრით.

სხვადასხვაგვარი პერიოდი. რამდენნაირიც არის როული წინადადება (იხ. ზემო გვ. 144.), იმდენნაირივე არის პერიოდი. სახელდობრ:

1. **მიზეზითი,** რომელშიაც ერთი უმთავრეს ნაწილთაგანი არის საფუძველი, შიზეზი, მეორე — შედეგი ამ საფუძველისა, და ეს ნაწილები უერთდებიან ერთმანეთს კავშირით ვინათვან, რამეაუ, ამიტომ — რომ, რადგან — შაშ და სს. მაგალითი:

კუჭწერი, იუკ უცვლელად

ერთგული შენის ქვეუნისა:

(რამეთუ) იქა ხარ დაბადებული

და იქვე ჩახვალ საფლავსა (ა. ფ — ძე).

კუჭწერი, იუკ უცვლელად

ერთგული შენის ქვეუნისა:

(ვინაითვან) აქ გმირულადა ჩალვრილა

სისხლი მამა და პაპისა (ა. ფ — ძე).

წართუწიორულგართ, არ გაწწიორულგართ, —

რადგან თქვენ გპოვეთ შზედ უფლობისა (შავთელი)

მე ჩანგური მასთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს,

განამტკიცის აზრი წმინდა, გულს სიწმინდით ახურვებდეს.

(აკაკი).

2. **პირობითი (თუობითი)** ისეთი პერიოდია, რომლის ასაწევ (ასამაღლებელ) ნაწილს შეადგენს სათუო (პირობითი) წინადადება. ამგვარ პერიოდის საგრამატიკო ფორმას შეადგენს პირობითი კავშირი თუ, რადგან — შაშ, და სს. მაგალითები:

ათასად გვარი დაფასდა,

ათიათასად ზდილობა,—

თუ კაცი თითონ არ არი,

ცულია გვარიშვილობა (შოთა).

თუ თავი შენი შენ გახლავს,—

(შაშ) ლარიბად არ იხსენები (შოთა)

თუ ქართველმა ერმა გაიღვიძა, თუ საქართველოს მოეფინა განათლება და თუ ქართველმა გვარტომმა შეიგნო ერთობის მნიშვნელობა, ამ ერის წინსვლის ვერავითარი მავნე ძალა ველარ შეაჩერებს.

თუ გინდა, ძმაო, იგემო

ამა ქვეყნისა შვებანი,—

(მაშ) დიდთა საფეროდ მოპმართე

შენი გულ-სიტყვის ებანი. (ი. ჭავ.)

3. ზედმიულებითი ეწოდება ისეთ პერიოდს, რომელი შიაც ერთსა თუ სხვა და სხვა დროს მომხდარი ამბებიჲერთმანეთს მიჲყვებიან რიგრიგისად. ამისთანა პერიოდის საგრამატიკო ფორმად იხმარება: როცა—შაშინ, როგორც—იმდროსვე, შემდეგ როცა, შაშინვე როცა, შემდეგ და სხ.

როს ნაქარმაგევს მეფენი შვიდნი მე პურად დაშესხნეს თურქნი, სპარსი და ორაბნი საზღვართა გარე გამესხნეს, თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,— აწე ამათსა მოქმედსა გულზედან ხელნი დამესხნეს (დავ. აღმ.).

გაზაფხულის თავზედა (როდის) ხეს ფურცელი გამოუვა, კაცი რომ გალარიბდება, (შაშინ) თავში ქუუ გამოუვა.

როს მესამესით თვით მესამესით დაჯდეს განკითხვად სულ-
თა ყოველთა,
ოხვრიდენ ზღვანი, გრგვინვიდენ ცანი, ზარი გამოჩნდეს ცეც-
ხლთა შემწველთა,
შეწრაფლადღა სტეირი, ძნელ დასაყვირი, წარმოადგენდეს სულ-
თა ყოველთა,—
შაშინ გალხინოს, თვით მიგავლინოს თქვენ უოხქნოთა მათ სა-
შვებელთა (შავთელი).

როს ენა შვიდი საზრახელ იყო სულთა ყოველთა: ასურ-
თა, ინდთა, რომთა,
და სინდთა, ბერძენთა, სპარსთა, აგ-მაგუგელთა,—შაშინდა ნებ-
როთ, ჭვით
სამისებროთ, გოდოლი ხელჭყო შენებად ველთა (შავთელი).

4- შედარებითს პერიოდში ერთმანეთს ედარება ორი აზ-
რი ანუ სურათი, ერთმანეთის მსგავსი თვისებით ანუ რაოდე-
ნობით. საკავშიროებია: როგორც (=ეოთა) — ისე (ასე; მსგავს
ამისა), რამდენადაც — იმდენად.

ვით მწვანილსა თრთველისაგან,
(ისე) პირსა ფერი მოაკლდების (შოთა)
როგორც მოხვალ სვინაო,
ისე წახვალ შინაო.—

ვითა პეპელა
არხევს ნელნელა
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,
ასე საყურე,
უცხო საყურე

ეთამაშება თავისსა აჩრდილს (ნ. ბარათაშვილი).
რამდენადაც იფასებდე შენს პატიოსნებას, იმდენადგვე შეა-
ფასე სხვათა პატიოსნება.
ეგრეთ ინახის ინახის შორის, ვით მზე, სამყარო მანათო-
ბელი (შავთ.)

როგორც ქუხს, ისე არა წვიმს.

ვითარ მზესა უძლვნის განთიაღის ნათელი, ეგრეთვე სიმ-
შვიდე ყოველსა სიმდაბლესა (პეტრიწი).

რამდენიც შეილი გყვანდეს, იმდენი სახლი აუგე მათ.

5. დაპირისპირებით პერიოდის ერთს ნაწილში გამოით-
ქმის მეორე ნაწილში გამოთქმულ აზრის წინააღმდეგი აზრი.
საკავშირო ნაწილებია ხოდო, პირიქით, გარნა, მაკრაშ, და, კი,
და სხ. მაგალითი.

აგერა მცხეთაც — სავანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების...
სად პირველ ქართველის მორცმულთა შეილთა
ლრმად წარეგს ძირი თავისუფლების;
საღაც ჰყვაოდა ხე ცხოვრებისა,

ქართვლის გულიდამ აღმოცენილი,
და წყარო იგი წყაროდ შვებისა
სჩექულა იმ გულით გარდმოდენილი;
სად ის ხე ნაძვის მის სუნნელისა
ჰყვაოდა ქართვლის წყლულთა კურნებად
და მის-ქვეშ წყარო უკვდავებისა
სცემდა იაზმას ერის ცხოვნებად;
სად იმ ხის წმინდის ფოთოლი, ხილი
საკვდავალც დაჭრილს ეკურნებოდა;
სად იმა წყაროს წყლით დაბანილი
ქართვლის ტკივილი დაყუჩებოდა.—

- (იქ) აწ ადარა სჩექუს წყარო ცხოველი,
ხე ცხოვრებისაც იგი დამჭენარა,
და იგი დედქალაქი ვრცელი
აწ სამიერწოდ დაბად გამხდარა,
ნერეულან მისნი დიდნი პალატნი.
დადა ცხოვრება მის დაცემულა:
დღეს იმ ცხოვრების წმიდა ალაგნი
ჰირუტევთა ქელვით შეგინებულა (ი. ჭ—ძე).
6. განკოფით პერიოდის საკავშიროებია ანუ —ანუ, გან
—ვანა, ჯერ — მერე, ხან — ხან.

ჯერ თავო და თავო,
მერე ცოლო და შვილო.—

ჯერ სწავლა, მერე ხტომა.

ასე, ჩემო მანასეო,

ხან ისეო, ხან ასეო.

ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა,

ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

7. დათმობით პერიოდის საკავშიროებია იუმცა, რასა—
ეგირველია, ჩართალია, დეკ—მაგრამ, ვთქვათ. ეგრეა—საგრამ, მიუ—
ხედავად მისა და სს.

თუმცა შენი ნათქვამი თვით კეშმარიტებაა, მაგრამ ცუდი არ იქნება ჩვენი აზრიც მოისმინო.

თუმც აღარ პქონდა მკლავებში ღონე, შაინც კი ხელი შემოუბრუნა.

დევ ჯერეთ ჩვენ ვიყვნეთ სუსტნი, დევ ჯერ არ გვქონდეს საქამაო განათლება, დევ ვიყვნეთ მოუწყობელნი, ღარიბნი, — გარნა გულს მაინც არ გავიტეხთ, რადგან აწვე ვხედავთ ბრწყინვალე მომავლის ნიშნებს.

8. **შეერთებით** პერიოდის საკავშიროებია: და, ცა, ანუ.

რომ დაჩაგრულს მის სიმღერით თვალთ ცრემლები ეშ-რობოდეს და მჩაგრელს კი გულში ძეგრით ისარივით ესობოდეს (აკაკი).

გამიქვავდეს მე ეს ენა, თუ რომ ვისმე მივეფერო,
და გამიხსენ ეს მარჯვენა, თუ სიმრუდით სიმთ ვაჟდერო (აკაკი).

ერთი რამცა, თეთრი რამცა, თეთრად გაღაპენტილამცა,
ვინც ამას ვერ გამოიცნობს, ავია და ბეკი რამცა (ანდ.).

ანუ ვის ესმის, ანუ ვის ესმის, და არა იქმნეს განცვიურებარე!

მჭვრეტნი ვიტყვითა, მჭვრეტნი ვიტყვითა, ანუ თუ სიზმრად
მაოცებარე:
ან უცნაურად, ანუ ცნაურად სოფლისა წყალთა დაშშვენებ არე
(შავთ.).

9. **განმარტებით** პერიოდის საკავშიროებია ისე — რომ,
იმდენად — რომ, იმდე — რომ, არა შეთღო — არაშედ. მაგალ.

აღიდებული ლიახვი ისე მოდის და მოხუცის, ისე მძლავრად ისვრის ტალღებს და ისეთ-ისეთ დიდრონ ქვებს და კონცებს მოაგორებს, რომ, გეგონება, ჰლამის მთელი ქვეყანა წალეკოსო.

ადამიანი, საზოგადოდ, იმდენად ხარბია, რომ ანდაზად თქმულა: „კაცის თვალს მარტო სამარე გააძლობსო“.

ისეთი გოდორი დასწანით, რომ თქვენს შვილებს გამოადგეს (ანდ.).

ისეთშა ფურმა დამწიხლოს, რომ ჩემზე მეტს იწველი-
დეს (ანდ.)

ისეთს ნურას იტყვი, რომ მერე სანანური გაგიხდეს (ანდ.)

უკვდავად ჩაითვლება არა შეთლო შოთა რუსთაველი, არა-
მედ მრავალი სხვა ღიღებული მგოსანიც.

10. მიმართვით პერიოდის ნიმუში.

შენ გონიერო, გულისხმიერო,
თვით მეცნიერო, მეფევ ძლიერო,
მიუხდომელო, მიუწოდელო,
მიუთხრობელო, წრფელ, სახიერო,
განათლებულო, განახლებულო,
გაბრწყინვებულო მზეო ციერო,

გალალებულო, გალომებულო,
კვლავ გოლიათო, გულლმობიერო,—

მე, მონა შენი, მე მონა შენი,

ვგონებ, ყოველნი თქვენთვის შექმნულად (შავთ.).

11. დამტკიცებით პერიოდის ნიმუში:

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი

სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ,—

ჩემი სამშობლო ის არი.

II ლექსითა წყობა.

ენამზეობის, ენის კეთილხმოვანების სახსართაგანი, პერიოდს გარდა, არის აგრეთვე ლექსთა წერბა (წერბილსიტუგათბა, შეწყობილი ლექსი)*). სხვა და სხვა ენებში ხერხი ლექსისა სხვადასხვანაირია. ცნობილია სამგარი ლექსთწყობაა: ა) შეტრული, ბ) ტონური და გ) სილაბური.

შეტრული ლექსთწყობა შექფერის იმ ენებს, რომლებსაც აქვთ გრძელი და მოკლე ხმოვანი ასოები, ტონური — იმ ენებს, რომლებშიაც ხმის ამაღლება (სიტუვებში) ცვალებადია, სილაბური — იმ ენებს, რომლებშიაც ხმის ამაღლება (სიტუვებში) ცცდებადია.

შეტრული (შეტრონ — ზომა) ლექსთწყობა შეესაბამება ძველ ლათინურ და ბერძნულ ენებს, ტონური (ტონოს — ხმის ამაღლება, დაკვეთება) რუსულსა და გერმანულს, სილაბური (სილლაბა — მარცვალი) — ფრანგულს, პოლონურს და ქართულს.

ხმის ამაღლება. ქართულს ენაში, როგორც უკკვე ვთქვით (იხ. § 6), ხმის ამაღლება სიტუვებში მუდამ უცვლელია: ბოლოდგან მეორე ხმოვანზე ორმარცვლოვან სიტუვებში (კაცი, სული) და ბოლოდგან შესამე ხმოვანზე სამ და მრავალმარცვლოვან სიტუვებში (სულევა, კეთილი, ამაღლება, გარდაწერინება).

ლექსისა თუ წყობილისიტუვაობაშიაც ხმის ამაღლება აღგილს არ იცვლის: მოდის ან შეორე მარცვალზე, ან შესაძეზე ბოლოდგან. მაგალითები:

ჰეო მეო, ბერავ დემეტრეო,

წმინდა გიორგის კარები როგორ გასტეხეო?

*) ლათინ. *Versificatio*—ლექსთ შეწყობა, ლექსთ-ქმნა, გალექსია, (*versus*—ლექსი, *facere*—კეთება, ქმნა).

დაპერეს ნაღარა, გულნი შეპზარა
და მტერთ საომრად ჯარნი შეპყარა:
ხმა ნაღარისა, ხმა ეს ბრძოლისა
ვით არ აღვანთებს, გმირო ქართლისა!..

—

გავლესოთ, ძმებო, ნამგალი,
პური შეგვქმნია სამკალი,
ჯერ „ჰოპუმ“ დავაგუგუნოთ
და მერე „ჰარიჰარალი“! (აკაკი).

მუხლი. ლექსის ყოველი სტრიქონი, ხმის აწევ-დაწევის
მიხედვით, იყოფება ნაწილებად, ყოველს ნაწილს ჰქვიან მუ-
ხლი *]) და ყოველს მუხლში ხმის ამაღლება ხვდება მესამე ხმო-
ვანს ბოლოდგან. მაგალ.

იყო არაბეთს როსტევან, მეფე ლვოსაგან სეიანი.

ცეზურა. მრავალ მუხლოვან ლექსის კითხევის დროს სა-
ჭიროა შეჩერება, ქარის ამოღება. ამ შეჩერებას ჰქვიან ცეზუ-
რა (caesura—განკვეთა). იგივე ლექსი, ცეზურებად გაკვეთილი:
გამიქვადეს მე ეს ენა || თუ რომ ვისმე მივეფერო (აკაკი)

მოციმუმდი || მოდს გამომფდარე.

შენგან ბნელი || გული გამომიდარე.

რითმი. რითმიდ იწოდება თანხმოვანება ანუ შეწყობა
ლექსის ორის ანუ რამდენიმე სტრიქონის უკანასკნელ სიტ-
ყვებისა.

მირბის, მიმატრენს უგზოუკლოდ ჩემი შერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ეთანი.

გასწი, მერანო, შენს ჰენებას არ აქვს სამზღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელფარი! (ბარათ.)

საიდუმლო გარათო!

გითხრეს: „ექმენ მარადო

*) რუს. სტოპა, ბერძხ. პუს—ფეხი, მუხლი, რომლის ჩაკრით.
ალინიშნებოდა მუსიკალური ტაქტი.

სიხარულის მიმნიჭედ
და სევდის ფარადი” (აკაკი).

რამდენნაირია ქართული ლექსი? ქართული ლექსი ზუთ-
შარცლოვანზე ნაკლები და ოცმარცლოვანზე მეტი არ არის, და
ამ რარცვალთა და ცეზურის რაოდენობის მიხედვით იგი სხვადა-
სხვა ნაირია, სახელდობრ:

ა. ხუთმარცლოვანი:

უუუნა თვალი	ვიშ, გაზაფხული
გულთა მომკვლელი	შოდის მორთული,
მოცინარობენ;	მოდის და მოაქვს
პაწაწა ტუჩი	კით სიხარული.
ვარდებრ ნაფურული	ი. ჭ.)
ლხენას მოჰბერვენ! (ნ. ბარათ.)	

ბ. ექცემარცლოვანი:

თრლანა დაბერა,	მოვკვდები—ვერ ვნახავ
ქნარზედა დამღერა:	ცრემლსა მე მშობლიურს,
ფსალმუნი აღწერა,	მის ნაცვლად უა ლურჯი
ლმერთს გული აჯერა	დამაფრქვევს ცვარს ციურს.
(დ. გურ.)	(ნ. ბარათ.)

გ. შეიდმარცლოვანი:

მოდი ჩემო | ჩანგურო,
მსურს, ისევ გე || მსახურო,
გამლერო სულ | სიმართლე
და ბეკრი მო | გამდურო! (აკაკი).

დ. რცული (8 მარცლ.)

მაისის ვარდმან ფურჩენილმან,
ბეზექმან, მწვანით მყობილმან... (ა. ჭ.).

სიმინდსა თოხნა დავუწყოთ,
ერთხმად დავძახოთ მეშური;
ეგებ მაშინ დაგვავიწყდეს,
რომ გლეხნა ვართ უბედური! (აკაკი).

ზეირთები მოღულუნებენ,
კალები ბუჩქნარეობენ,
ხშირნი ლამაზთა კიდეთა
მჩქეფრად მდინარის ქსისათა (ნ. ბარათ.)

ე. ფისტიკაური (10 მარტ.). ათ მარტლოვანს ლექსს ფისტიკაური ეწოდება, თუ აქვს ერთი და იგივე ბოლოშეწყობილება (რითმი).

გვეღების კარი | გაზაფხულისა,
დროთა ცვალებით | დანერგულისა.
მოგვივალსთ უამი | გაზაფხულისა,
თვისთანა მქონე | შეება სრულისა (ა. კ.).
სევდის ბალს შეველ | შენალონები:
მოკრეფად მსურდა | ვარდის კონები. (ბესიკ).
ძმარ მკითხველო? || ძმობას გაფიცებ,
კაცი რომ ნახო || შენ დაცემული,
თუ რად დაეცა || მიზეზს ნე ეძებ!
შენი ვალია, || შეგრცივდეს გული!.. (აკაკი).

ვ. წყობილი (11 მარტ.)

ნახევარი || ცხოვრების გზა გავლიე,
სიტკბოზედა || მწარე მეტი დავლიე.
არ მშორდება || მწუხარება და ჭირი,
მაგრამ მაინც || სულ ვიცინი, არ ვტირი! (აკაკი).
მიყვარს, მიყვარს | მე ტიკტიკი ჩვილის ყრმის,
მიყვარს სმენა | უცნაურისა მის ხმის,
ოდეს იგი | ენითა სასუფევლის
უალერსებს | წიალთა თავის მშობლის (ნ. ბარათ-)

ზ. თორმეტმარტლოვანი:

მთწყალების კარო, შენს ზღურბლს მოვეკარო,
უსახლკარო ვარო, ვითხოვ შემიტარო! (ლ. გურ.).

ი. მრჩობლედი (14 მარტ).

არც კაცი ვარგა || რომ ცოცხალი || მკვდარსა ემსგავსოს,

იყოს სოფელში || და სოფლისათვის || არა იზრუნოს
(ნ. ბარათ.).

თ. იამბიკო (14 მარცლ.)

ქალწულმან მარიამ || წმინდად თავი ატარა;
ყოვლის კაის საქმითა || თავი ღმერთსა იყვარა (დ. გურ.)
ეშმაკეულთ ახოსა || ანგელოზმან მნახოსა,
მწეროს ჯვარი ქრისტესი || გულზედ გამომსახოსა,
თვისი მჭრელი ლახვარი || ლესოს, გაიმახოსა... (დ. გურ.)

ი. 15 მარცლოვანი:

ძმანო კახელნო | ნამდევილ ქართველნო | მოლხინე სულით
თქვენში აღზღილა | პატარა კახი | მეფედ და გმირად (ნ. ბარ.).

ია. შაირი (16 მარცლ.):

იყო არაბეთს როსტევან || მეფე ღვთისაგან სვიანი
მაღალი, უხვი, მდაბალი || ლაშქარ-მრავალი, ყმიანი (შ. რ.).

მე ჩანგური მისთვის მინდა || რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა || გულს წრფელად ახურვებდეს.
(აკაკი).

თამარ წყნარი შესაწყნარი | ხმა ნარნარი, პირმცინარი
მზე მცინარი საჩინარი | წყალი მქნარი მომდინარი
მისთვის ქნარი რა არს ქნარი | არსით მთქნარი, უჩინარი
გარდ შამბნარი, შამბმაღნარი | ლაწვ მწყაზარი, შუქ მფანარი.

იბ. მესტვირული (16 მარცლ.)

ნეტავ ქება როგორ ითქმის || ამ თბილის ქალაქისაო,
ზამთარი არის ბროლისა || ზაფხული ზურმუხტისაო... .

იგ. ჩახრუხაული (20 მარცლ.)

„ჩახრუხაული“ დაერქვა ჩახრუხაძისებურ ლექს. ამგვარ ლექს
აქვს სამი ცეზურა, ოთხ თანაბაზ ნაწილად იყოფება და ამასთან ორი
პირველი ნაწილი ბოლოშეწყობილია (გარითმულია). მგოსანი ჩახრუხაძე
იყო თანამედროვე თამარ მეფისა და მის შესაქებად დაწერა „თამარიანი“.

შოხევეს ქეთა | ჩახრუხაძევა | ექო თამარი | მეფე წყლიანი,
მისი სიმეტე | ბრძენთა სირეტე | თინათინ ვაქო | ბალი წყლიანი
აეს თინათინ | ნუ ის თინათინ | არაბეთს იყო | სულადიანი,

ჯერეთ ყმაწვილი || შმინდათ ნაწილი | სამოთხის ვარდი | პი-
რად მზიანი ;ჩახრ.)

ძეადამისი | მსგავსად ამისი | ვისუა ეხილვონ । მამცნონ-სად არი?
იდ. **ძაგნაკორული** (20 მარტლ.) (შავთ.)

ძაგნაკორული იყო მე-XII საუკ. მწერალი დეშეთის მხრის სოფელ
ძავნაკორადამ. ძაგნაკორულისებრი ლექსი ცეზურით იყოდება ოთხ თა-
ნაბარ ნ.წილად, და მეორე ნაწილია და მეოთხე ნაწილის დაბოლოებანი
შეწყობილნია (ერთნაირ-დ გარითმული).

მისაყრ ნობელნი | ძნელსაცნობელნი | სამოთხით ნაძვნი |
თვით უდნობელნი

ივ. **შერეული** (ლექსი, რომელშიაც ცეზურა იჩევა).

იჯდა ზამთარი | ბროლის ტახტედა

ხელი ზეჯ ედვა | ფარ-ხმალ-ლახტედა;

მზად ცვანდა ლაშქარი—

თოვლ-ყინვა, მას ქარი—

მოსწონდა თავი. (დ. გურაშ.).

შენნი მოთქმანი | კაეშნის ხმანი,

ხანუა ახვრანი | ხანუ ამოსკვნანი

წარსულთა დროთა | მოგონებითა | სულს აფიქრებენ (ნ. ბარ.)

შენიშვნული შეცოდნები:

23.	სტრ.	სწერია:	უნდა იყოს:
36	24	დო მომიტევენ	და მომიტევენ
54	18	შეიძლეა	ჩეიძლება
55	19	სამიროდისო	სამარადისო
86	1	ყუნა	ჩუნა
	10	გაქოუ	გაქოყ
	11	აქოუ	აქოყ
97	3 (ქვემ.)	გაბემხ	გვაბემხ
99	5 (ქვემ.)	მდგოაილვარ	დგომილვარ
108	10	ვხდები	ვხევდები
108	11	ვხდებოდი	ვხევდებოდი
108	14	გაეხდი	გაეხევდი
142	16	რემდენ	რამდენ
143	19	თაძელი	საბელი.

გრამატიკა	1
I. ეტაზობათი	
თ. პირველი. § 1. ანბანი	1
§ 2. სხვადასხვანაირი ხმები . . .	3
§ 3. სიტყვათა შემოკლება და ხმა- თა შელევა	3
§ 4. სიტყვათა დაყოფა მარცვლებად	4
§ 5. რთული სიტყვები	4
§ 6. დასაკვეთი (ხმის ამაღლება) .	5
თ. მეორე. § 7. მეტყველების ნაწილები . .	6
§ 8. სახელი არსებითი. არსება, სა- განი	6
§ 9. სქესი	7
§ 10. არსებით სახელთა შედგენი- ლობა და წარმოება	8
§ 11. არსებითი სახელი წარმოსდება	8
§ 12. უმთავრესი საწარმოვო ნიშნები	9
§ 13. სახელარსებითის კანკლედობა (ბრუნვა)	15
§ 14. ქართ. ენას აქვს ერთი ბრუნვა	16
§ 15. სახელარსებითთა ბრუნვის ნი- შეში	17
§ 16. თანდებულიანი ბრუნვები . .	19
§ 17. სხვადასხვა სიტყვების კანკლე- დობა (ბრუნვა)	21
თ. მესამე. სახელი ზედ შესრული	
§ 18. ვითარებითი და დამოკიდები- თი ზედშესრულები	25
§ 19. ზედშესრულთა წარმოება . .	28
§ 20. ზედშესრულთა ბრუნვა . .	29
§ 21. ხარისხი	31

თ. შეცვლისახელი.	
§ 22. სხვადასხვანაირი ნაცვალსახელი ნაცვალსახელის ბრუნვა . . .	35 36
თ. მეხუთე. რიცხვითი სახელი.	
§ 23. სხვადასხვანაირი რიცხვითი სა- ხელი	42
§ 24. რიცხვითი რაოდენობითი . . .	42
§ 25. რაოდენობითთა წარმოება და ცვლილება	43
§ 26. რაოდ. რიცხ. სახელებს ექუთ- ვნიან	45
§ 27. რიგობითნი რიცხ. სახელნი	46
§ 28. ზმისზედითი	46
§ 29. რიცხ. ზედშესრულები . . .	46
§ 30. რიცხ. არსებითი სახელები .	47
§ 31. რიცხ. სახელის ბრუნვა . . .	47
§ 32. რიცხ. სახელების ხარისხები . ქართული ქორთონიკონები და თვლა	49 49
თ. მეექვნე. ზმის.	
§ 33. ზმის დარგი ანუ გვარი .	51
§ 34. სახეობანი	53
§ 35. ცვლილება	54
§ 36. დრონი	55
§ 37. რიცხვი და პირი	57
§ 38. მიმღეობა	58
§ 39. დასართავები	60
§ 40. შედგენილობა და წარმოება .	62
§ 41. თავსართი, სუფიქსები და ფეს- ვნი	63
§ 42. ზმათა ნიშნები	65
§ 43. საურთიერთო ტაბულები . .	66
§ 44. ზმის თავსართავები	68
§ 45. უღვლილება და დროთა წარ- მოება	70

§ 46.	მოთხრ. დახრის მრ. რიცხ. მე- სამე პირის დაბოლოებანი	73
§ 47.	საკითხები ზმნების უღლვილე- ბაში	74
§ 48.	არსებითი ზმნების უღლვილება ა) არსება, ყოფნა ბ) ქმნ., მყოფობა, გიება.	77 80
§ 49.	უღლვილება ზმნისა სწავლა, სწავლება	82
50.	უღლვილება ზმნებისა კოლა, ქონა	86
§ 51.	უღლვილება ზმნებისა ლეგა, ჭრა, შექვა	91
§ 52.	უღლვილება ზმნისა პმა	95
§ 53.	უღლვ. ზმნებისა დანატრება, და- ტირება, დამდერა, დაუურება . . .	98
§ 54.	უღლვ. ზმნ. დგომა, წოლა, კდო- მა, ხტომა	98
§ 55.	უღლვ. ზმნ. მოსულა, სელა, გლა, რება	102
§ 56.	უღლვ. ზმნ. რებენა, მორბენა .	104
§ 57.	უღლ. ზმნებისა კეთება, ქმნა .	106
§ 58.	უღლვ. მოქმედება-დასაწყის ზმნე- ბისა: ა) დება, ქცევა, ხდომას შემწეობით	108
	ბ) ცემას შემწეობით .	110
§ 59.	უღლ. ზმნისა ხლება	111
§ 60.	უღლვ. ზმნ. აღხმა=ხვება.	112
§ 61.	უღლვ. ზმნ. აღვიარება	113
§ 62.	უღლ. ზმნ. ხდომა, შონდომა .	114
§ 63.	უღლვილება აღწერილობითი. .	115
§ 64.	უღლვილება დრონაკლ ზმნებისა	117
§ 65.	უღლვილება პირნაკლ ზმნე- ბისა	123
თ. შეშვიდე.	ზ. ნისზედა.	
§ 66.	სხვადასხვა ნაირი ზმნისზედები.— ზმნისზედის ხარისხები	124

თ. მერვე. თანდებული.

§ 67. სხვადასხვანაირი თანდებული . 128

თ. მეტხე. კავშირი.

§ 68. სხვადასხვანაირი კავშირები . 131

თ. მეათე. შორისდებული.

§ 69. სხვადასხვანაირი შორისდებული 133

II. სინტაქსი.

§ 1. რა არის სინტაქსი 134

§ 2. სინტაქსი მარტივ წინადადებისა 134

მარტივ წინადადების ნაწილები.

§ 3. ქვემდებარე 135

§ 4. შესმენილი 136

§ 5. დამატება 138

§ 6. განმარტება 140

§ 7. გარემოებანი 141

§ 8. მიმართვა 143

სინტაქსი რთულ წინადადებისა.

§ 9. მთავარი და დამოკიდებული წინადადება .. . 143

§ 10. დამოკ. განმარტებითი წინადადება 144

§ 11. დამოკ. დამატებითი წინადადება 145

§ 12. დამოკ. დროს გარემოებითი წინადადება . 146

§ 13. დამოკ. ადგილის გარემოებითი წინადადება 147

§ 14. დამოკ. ვითარებითი წინადადება 148

§ 15. ვითარებითი წინადად. შედარებითი 148

§ 16. დამოკ. მიზეზის გარემოებითი წინად. 149

§ 17. დამოკ. მიზნის გარემოებ. წინად. 149

§ 18. პირობითი წინადადება 150

§ 19. დათმობითი წინადადება 150

§ 20. სასვენი ნიშნები 151

დამატება. I. პერიოდი 154

II. წერილისიტუგაობა (ლექსთაწყობა) 164

შეცოცხები 169

თხელელებანი, და გამოცემანი ქ. ჯანაშვილისა.

ა. მწერლობა მეათე საუკ.	ფ. 40 კ.
ბ. შოთა რუსთაველი	" 40 "
გ. ფარს. გორგიჯანიძე და მისი შრომანი	" 40 "
დ. საქართველოს გეოგრაფია (ვახუშტისა) 2 მან.
ე. გეოგრაფია ერთი (მისივე) 1 "
ვ. ცარიცა თამარა	" 40 "
ზ. საქართველოს ისტორია, ნაწ. I. 1 მან.
ც. ქართული გრამატიკა	" 50 "

P. S. თუ უსახსრობამ არ დაგვაბრკოლა, მალე დავბეჭდავთ „ქართლის-ცხოვრების“ ახლად აღმოჩენილს უშეს. ნიშნავეს ვარიანტს რომე „ც 21 წარსულ მაისს პოლკ. ანტონ ი. არჯევანიძის შუამავლობით შევიძინეთ მხურვან მწიგნიბრის გრეტ დივითისძის მაისურაძისაგან. ეს სწორეთ ის ვარიანტია, რომელიც, ვახუშტის სიტყვათ, „აღუწერიათ“ მეუე ვახტანგ VI-ის „სახელით“, ხოლო „თვით ვახტანგს არ ვანუხილავს ვითარება მისი“. ვარიანტს ახალი ნათელი შეაქვს ქართულს ისტორიოგრაფიაში და საესტიტ ამტკოცებს იმ აზრს, რომ ვახტანგ მეფეს ტყუილად მიაწერდნენ „ქართლის-ცხოვრებას“ შედგენას.